# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№55 (10058) 2026 წლის 13 მაისი, ოთხშაბათი


# „აქსიოს!“ ღირსია!




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსო, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტო, უწმიდესო და უნეტარესო მეუფე შიო III!

გულწრფელად გილოცავთ ახალ, 142-ე პატრიარქს დიდსა და წმინდა საპატრიარქო ტახტზე ღირსეულად აღსაყდრებას. წინ დიდი და მნიშვნელოვანი გზაა. ჭეშმარიტი ქართველობა მარადიულ მზადყოფნაშია, მედგრად გიდგეთ მხარში, თანაგიგრძნობთ ყველა საკითხში!

გისურვებთ, რომ თქვენი თავკაცობით წარმატებები იყოს ქვეყნის დიდი ისტორიის მქონე ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მარადიული თანამგზავრი.

ქრისტესმიერი სიყვარულით,

**როინ მეტრეველი,**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

12 მაისი, 2026 წელი

## უწმინდესს და უნეტარესს შიო III

სიყვარულის მადლით იმოსება
სვეტიცხოვლის თაღთა ბრწყინვალება,
მკერდში მოგალობე სტრიქონებმაც
იგრძნეს გულის სისხლის მდინარება.

უხილავი ხელით მოგაცილებთ–
ისე ნათლის სხივი არ კიაფობს
აჰა, უწმინდესის დალოცვილი
თქვენი მძიმე ჯვარი,
პატრიარქო!

აჰა, ანდერძივით ამოთქმული
სიტყვა უკვალოდ არ გადაიარს,
ვიდრე ერთი გზა აქვს გასავლელი
უფალს, სამშობლოს და ადამიანს!

წლები ჟამთასვლისგან მოცელილი
ერთხელ მოღუღუნე ხუნდებია,
როგორც აქშეული ფრინველები
უკან აღარასდროს ბრუნდებიან.

ერი შემოგყურებთ,
გადამრჩენი
დღემდე ჩვენი რწმენის აფრებია,
მხოლოდ უკვდავების დანთებული
ხსოვნის კელაპტრები არ ქრებიან!

სიყვარულის მადლით იმოსება
სვეტიცხოვლის თაღთა ბრწყინვალება,
მკერდში მოგალობე სტრიქონებმაც
იგრძნეს გულის სისხლის მდინარება.

დღესაც სულიწმინდით აღივსება
ზეცად აღვლენილი აღსარება —
თქვენი სამწყესური დაილოცოს,
თქვენი წმინდა ტახტზე დაბრძანება!

**ვანო ჩხიკვაძე,**

ეროვნული პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი

## დონალდ ტრამპმა ევროპაც გააოგნა და ნატოც!

იხ. 8 გვ.




## ღრენები და კბენები ფასთა და ჯარიმათა ირგვლივ!



იხ. 7 გვ.

# „აქსიოს!“ ღირსია!

## საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე 11 მაისს საქართველოს ახალ, 142–ე კათოლიკოს–პატრიარქად მეუფე შიო აირჩიეს

**სრულიად საქართველოს ახალი კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი იწოდება შიო მესამედ.**

გაფართოებულ კრებაზე ხმის უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ წმინდა სინოდის წევრები. კენჭისყრაში სინოდის 39-მა წევრმა მიიღო მონაწილეობა. მღვდელმთავრებმა სამ კანდიდატს შორის გააკეთეს არჩევანი.

**კენჭისყრის შედეგად კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) 22 ხმა მიიღო, მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) □ ცხრა ხმა, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი) □ შვიდი ხმა, ერთი ხმა გაუქმდა.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ერისკაცობაში **ელიზბარ თეიმურაზის ძე მუჯირი** დაიბადა 1969 წლის პირველ თებერვალს თბილისში. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (პარალელურად სწავლობდა სამუსიკო სასწავლებელში), 1988 წლიდან ელიზბარ მუჯირმა სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. 1991 წელს ელიზბარ მუჯირი მორჩილად დაემკვიდრა შიომღვიმის მონასტერში. 1993 წლის 5 თებერვალს მორჩილი ელიზბარი აღკვეცეს ბერად და უწოდეს სახელად შიო. იგი დადგენილ იქნა მონასტრის ტრაპეზრად, შემდეგ □ ეკონომოსად. 1995 წელს ბერი შიო დიაკვნად აკურთხეს, 1996 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია მეორემ** ბერ-დიაკონი შიო მღვდლად აკურთხა. 1997 წელს მღვდელმონაზონი შიო დაინიშნა თბილისის კლდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად.

1998 წელს მან დაამთავრა ბათუმის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარია და სწავლა გააგრძელა მოსკოვის სასულიერო აკადემიის დაუსწრებელ განყოფილებაზე. 1998 წლის 3 აპრილს მღვდელმონაზონ შიოს მიენიჭა იღუმენის წოდება ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და დაადგინეს ილია წინასწარმეტყველის ტაძრის წინამძღვრად. 1999 წლის 6 მარტიდან იღუმენი შიო თბილისის ანჩისხატის ტაძრის ღვთისმსახურია. იმავე წლის 20 სექტემბრიდან არის ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი. 2001 წლის ოქტომბრიდან იგი მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარია, პარალელურად სწავლობდა მოსკოვის წმიდა ტიხონის საღვთისმეტყველო ინსტიტუტში.



2003 წლის 18 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა (ურბნისი) იღუმენი შიო გამოარჩია ახლად შექმნილი სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის წინამძღოლად. 7 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა იღუმენ შიოს ეპისკოპოსად კურთხევა, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ შეასრულა წმიდა სინოდის წევრების თანამონაწილეობით. 2007 წლის 25 დეკემბერს ეპისკოპოსი შიო დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ორდენით. 2009 წელს ეპისკოპოსი შიო აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში. 2010 წლის 2 აგვისტოს დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 2017 წლის 23 ნოემბერს მეუფე შიო დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრედ, ხოლო 2018 წლის 21 ივნისს წმინდა სინოდის სხდომაზე დაჯილდოვდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით.

* * *

**ჩემს გამორჩევას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ვღებულობ მორჩილებით, ღვთის მადლითა და სასოებით, □** ამის შესახებ საქართველოს წმინდა სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიაქმა, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტმა **შიო მესამემ** განაცხადა.

მეუფე შიო საქართველოს ახალ, 142-ე კათოლიკოს-პატრიარქად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე აირჩიეს.

---

### ბიძინა და ეკატერინა ივანიშვილები:

## დღეიდან თქვენ გაკისრიათ საპატიო მისია, იყოთ ერის და ბერის სულიერი მამა

**□თქვენო უწმინდესობავ,**

გულითადად გილოცავთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად არჩევას.

დღეიდან თქვენ გაკისრიათ საპატიო და, ამავდროულად, საპასუხისმგებლო მისია, რომ უხელმძღვანელოთ ჩვენს დედაეკლესიას და იყოთ თითოეული მართლმადიდებელი ქართველის, ერის და ბერის სულიერი მამა.

თქვენო უწმინდესობავ, უდიდესი ისტორიული პასუხისმგებლობაა, ემსახურო ეკლესიას და ქვეყანას იმ დროს, როდესაც საზოგადოებას განსაკუთრებით სჭირდება სულიერი სიმტკიცე, ერთიანობა და მშვიდობა.

ეს პასუხისმგებლობა კიდევ უფრო დიდია იმის გათვალისწინებით, რომ თქვენ აგრძელებთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის გზას, რომელმაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რთულ და ქარტეხილებით აღსავსე პერიოდში, ჩვენი ხალხი და ქვეყანა ღირსეულად ატარა.

გვწამს, რომ თქვენი მოღვაწეობა სიმშვიდის, თანადგომისა და ეროვნული ერთიანობის საფუძვლად იქცევა და კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას და ფასეულობებს, რომლებზეც ჩვენი ეროვნული იდენტობა დგას.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ძალას და სულიერ სიმტკიცეს. ღმერთმა დალოცოს თქვენი უწმინდესობა და სრულიად საქართველო□!



### მიხეილ ყაველაშვილი:

## განუზომელია კათოლიკოს–პატრიარქის როლი მშვიდობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრების საქმეში

**□თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, უდიდესი პატივისცემითა და მოკრძალებით გილოცავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევას.**

ჩვენი ეკლესიისათვის ახალი სულიერი წინამძღოლის გამორჩევა უდიდესი ეროვნული და სულიერი მნიშვნელობის მოვლენაა, რადგან პირდაპირაა დაკავშირებული ჩვენი სამშობლოსა და ხალხის სულიერ ცხოვრებასთან, ერთობასა და მრავალსაუკუნოვან ტრადიციებთან. მწამს, რომ თქვენი წინამძღოლობით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კიდევ უფრო განმტკიცდება. კათოლიკოს-პატრიარქის როლი საზოგადოებაში მშვიდობის, სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრების საქმეში განუზომელია. მჯერა, რომ თქვენი მოღვაწეობა სწორედ ამ ღირებულებებს დაეფუძნება. თქვენო უწმინდესობავ, გისურვებთ ნაყოფიერ და ღვთივკურთხეულ მსახურებას. დაე, თქვენი მოღვაწეობა იქცეს მრავალი კეთილი საქმის საფუძვლად ჩვენი ეკლესიის, სამშობლოსა და თითოეული თანამემამულისთვის. გულწრფელად გისურვებთ, ღირსეულად განაგრძოთ ერის მთავარი საყრდენის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მემკვიდრეობა. ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი□!

### ირაკლი კობახიძე:

## შიო მესამეს ვულოცავ უაღრესად საპატიო მისიაზე გამორჩევას!

**□უწმინდესო და უნეტარესო შიო III, უდიდესი პატივისცემით გილოცავთ ამ უაღრესად საპატიო და უაღრესად საპასუხისმგებლო მისიაზე გამორჩევას.**

გვწამს, რომ თქვენ ღირსეულად განაგრძობთ იმ დიდ სულიერ მემკვიდრეობას, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებული სიბრძნითა და სიყვარულით ქმნიდა ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი ილია II.

დედაეკლესია ყოველთვის იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ერის სულიერი სიმტკიცის ურყევი ბურჯი. სწორედ მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ შემოგვინახა ის მარადიული ფასეულობები, რამაც ჩვენი ქვეყანა დღემდე მოიყვანა. მჯერა, რომ თქვენი მწყემსმთავრობა ჩვენი სამშობლოს მშვიდობიან, ერთიან და ძლიერ მომავალს მოემსახურება. ღმერთი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას და მის ახალ სულიერ მამას!□

# ახალი პატრიარქის პირველი ქადაგება

## თანაბრად უნდა გავიზიაროთ ხალხის სიხარულიც და ტკივილიც!

**გვმართებს, თანაბრად გავიზიაროთ ხალხის სიხარულიც და ტკივილიც, ვემსახუროთ და საყრდენად ვექცეთ მათ, რადგან ეკლესიის ძალა მხოლოდ სიტყვაში არ არის. მისი მოწოდება ქრისტესმიერ სიყვარულსა და ერთმანეთის სიმძიმის ტვირთვაშია. საჭიროა, ფართოდ გავუღოთ ეკლესიის კარი ყველას. მხოლოდ ტაძრის ამბიონთან ნუ დავუცდით მოყვასის მოსვლას,** □ამის შესახებ საქართველოს წმინდა სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტმა **შიო მესამემ** სვეტიცხოველში ქადაგებისას განაცხადა.

მისივე თქმით, □სწორედ ამ მსახურებაში გამოიწრთობა ჩვენი სული□

**□თანამედროვე ცხოვრება ახალი სირთულეების წინაშე გვაყენებს. ადამიანთა გულები გაუცხოებული და გაციებულია. ათასგვარი საცდური ანაცვლებს რწმენას, ზნეობრივ ფასეულობებს, ოჯახს და საყვარელ ადამიანებს. ამიტომ, ერთი ორად მძიმეა ეკლესიის მწყემსმთავრობის ტვირთი. რთულია, სარწმუნო და გონიერი მონის მსგავსად, ღირსეულად გაუმკლავდე ამა სოფლის გამოწვევებს, მაგრამ აუცილებელია მეტი ძალისხმევა, ღვაწლი ქრისტეს რწმენის საქადაგებლად, მისი ცოცხალი სიტყვის ადამიანთა გულებამდე მისატანად. ამიტომ, გვმართებს, თანაბრად გავიზიაროთ ხალხის სიხარულიც და ტკივილიც, ვემსახუროთ და საყრდენად ვექცეთ მათ, რადგან ეკლესიის ძალა მხოლოდ სიტყვაში არ არის. მისი მოწოდება ქრისტესმიერ სიყვარულსა და ერთმანეთის სიმძიმის ტვირთვაშია.**

**საჭიროა, ფართოდ გავუღოთ ეკლესიის კარი ყველას. მხოლოდ ტაძრის ამბიონთან ნუ დავუცდით მოყვასის მოსვლას. ტაძრის კედლებს მიღმაც შევეტკბოთ ჩვენს სულიერ შვილებს, რომლებიც ვინ იცის, უძღებ შვილთა მსგავსად, ვერ ბედავენ ჩვენამდე მოსვლას. სწორედ ამ მსახურებაში გამოიწრთობა ჩვენი სული, მოწოდება, რადგან უფალი გვასწავლის, რომელსა უნდეს თქვენ შორის დიდყოფა, იყოს თქვენდა მსახურ. ქვეყნის ხვალინდელი დღე და მომავალი არიან ჩვენი შვილები. ისინი ყოველდღიურად გვაკვირდებიან, გვისმენენ, სწავლობენ ჩვენგან. ხშირად ცხოვრების განსხვავებულ გზებს ირჩევენ, მაგრამ მაინც შვილებად რჩებიან. სწორედ მათ სჭირდებათ ყველაზე მეტად ჩვენი სიყვარული, ზრუნვა და თანადგომა. მათში უნდა განმტკიცდეს ქრისტეს რწმენა, ეროვნული ფასეულობები, ტრადიციებისადმი პატივისცემა, პასუხისმგებლობის განცდა ერისა და ეკლესიის წინაშე. ეს კი ისევ და ისევ ჩვენ უნდა გავაკეთოთ. ისე უნდა ვიცხოვროთ და ვიშრომოთ, რომ მათთვის ღირსეულ მაგალითად ვიქცეთ, რათა მომავალში ერთსულოვანი, მორწმუნე, ღვთისა და მოყვასის სიყვარულით გამსჭვალული მოქალაქეები ჰყავდეს ჩვენს ქვეყანას.**

**აუცილებელია, განათლება, საზოგადოებრივი ცხოვრება და ყოველდღიური საქმიანობა დაფუძნებული იყოს არა მხოლოდ ლიტონ ცოდნაზე, არამედ ქრისტესმიერ სიყვარულსა და სულიერ ფასეულობებზე, რათა, როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, ყოველნი ერთ იყვნენ. სწორედ ეს არის მოციქულებრივი გზის ერთგულება და სიყვარულზე დაფუძნებული მსახურება, რომლის აღსრულებაც ევალება ეკლესიის მწყემსმთავარს. ამიტომ, დღეს დიდი მოციქულებრივი და სულიერი მემკვიდრეობის წინ მდგარი, შვილებრივი სიყვარულით ვიყრი მუხლს ჩემს წინამორბედ დიდ კათოლიკოს-პატრიარქთა ღვაწლის წინაშე, შევთხოვ მათ ნეტარ სულებს, მომცენ ძალა და შეწევნა, რათა მათ მსგავსად, როგორც კეთილმა მწყემსმა, შევძლო, სული დავდო ცხოვართა ჩემთათვის, მორჩილად ვზიდო პატრიარქობის მძიმე ჯვარი, როგორც უღელი ტკბილი და ტვირთი მსუბუქი□..**

### ქართველმა ხალხმა უფლის ცოცხალი სიტყვით ჰპოვა თავისი ნამდვილი სახე, საუკუნეებია, ჩვენი ქვეყანა იღვწის, იბრძვის, ნაწილებად იხლიჩება, მაგრამ მაინც ერთიანდება, ეცემა და ისევ ფეხზე დგება!

**□ამ ღვთივკურთხეულ დღეს სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში თქვენ წინაშე მდგარი ვმადლობ და ვადიდებ უფალს. ამავდროულად კი, მიპყრობს კრძალვა და სასოებით შევღაღადებ მას, □მაუწყე მე, უფალო, გზა, რომელსაცა ვიდოდე□ ვსასოებ და მუხლს ვიყრი ყოვლადმოწყალე ღვთის წინაშე, რომლის განგებულებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დიდმა კრებამ დამადგინა ანდრია პირველწოდებულის მიერ საფუძველდადებული უძველესი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად. □არავინ თავისი თვისით მოიღის პატივი, არამედ რომელიც წოდებულ არს ღმრთისა მიერ□** □ამბობს მოციქული პავლე და მეც განმცდელი ამ პატივის სიდიადისა და სიმძიმისა, სრულად ვარ მინდობილი ყოვლადწმინდა სამებას, რადგან ამ ჯვრის ტვირთვა ღვთის შეწევნის გარეშე კაცთათვის შეუძლებელია, მაგრამ მანუგეშებს და მამხნევებს უფლის სიტყვები: **□არა დაგიტეო, არცა დაგაგდო შენ□**

**2000 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ლოცვაკურთხევით გამოემართა საქართველოსკენ, რათა უფლის კვართის მფლობელი ერი ქრისტეს ნათელს ზიარებულიყო. სწორედ უფლის ცოცხალი სიტყვით ჰპოვა ქართველმა ხალხმა თავისი ნამდვილი სახე და ჭეშმარიტი ბუნება. საუკუნეებია, იღვწის, იბრძვის, ნაწილებად იხლიჩება, მაგრამ მაინც ერთიანდება ჩვენი ქვეყანა. კარგავს ძვირფას მამულიშვილებს, მაგრამ კვლავ მრავლდება, ეცემა და ისევ ფეხზე დგება, რადგან მოციქულის ღვაწლით განათლებულმა თავის გულში ღრმად დაიმარხა უფლის სიტყვა და უკუნისამდე არ იხილავს სიკვდილს. ქრისტიანობა ხომ მან საკუთარი იდენტობის, აზროვნების და თვითმყოფადობის ორიენტირად აქცია.**

**სიმბოლურია, რომ დღეს ჩვენი ეკლესია ჩვენი საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობას აღნიშნავს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს განადიდებს და მასთან ერთად წმინდა მოციქულ ანდრიას განადიდებს. ასეთ წუთებში განსაკუთრებით ვსასოებთ მათ და ვლოცულობთ, რომ უფლის დედის წილხვდომილობა და მადლი, მაცხოვრის მიერ პირველწოდებული მოწაფის სიტყვის ძალა არასდროს მოჰკლებოდეს ჩვენს ერსა და ეკლესიას□** □განაცხადა **შიო მესამემ.**



### შალვა პაპუაშვილი:

## ისტორია გრძელდება, ხარობს საქართველოს 2000-წლოვანი ეკლესია

□დღეს, 2026 წლის 11 მაისს, უფლის ნებით, მის ორიათასწლოვან ეკლესიაში, ანდრია პირველწოდებულის კათედრაზე, საქართველოში ქრისტიანობის გამოცხადების 1700 წლისთავზე გამოირჩა ახალი პატრიარქი, ღირსეული მღვდელმთავარი ღირსეულთა შორის.

უწმინდესი და უნეტარესი შიო III, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი □ინებოს უფალმა, რათა მრავალი წლის მანძილზე სწორედ ამგვარად მოვიხსენიოთ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი. ღვთის წყალობა და მადლი არ მოკლებოდეს მას. მძიმეა პატრიარქის ჯვარი და მისი ზიდვა განსაკუთრებულ შემწეობას საჭიროებს. ყველას გილოცავთ ამ უდიდეს, ისტორიულ დღეს! ისტორია გრძელდება, ხარობს საქართველოს 2000-წლოვანი ეკლესია“.

### კახა კალაძე:

## „ღმერთი, სამშობლო და ადამიანი“

□დღეიდან საქართველოს ეკლესიის წინამძღოლია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი შიო III.

ეს არის დღე, რომელმაც საქართველოს პატრიარქ შიო მესამის მოღვაწეობით, კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ქართული ეკლესია, ხელი შეუწყოს ერში სულიერების ამაღლებას, ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცებას, მშვიდობის შენარჩუნებას. 11 მაისი სამუდამოდ დარჩება ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს თარიღად, რომელიც ყოველთვის შეგვახსენებს იმ მარადიულ ფასეულობას, რაზეც დგას საქართველო □□ღმერთი, სამშობლო და ადამიანი□

„აქსიოს!“, „აქსიოს!“, — ოვაციები და ტაში სვეტიცხოვლის ტაძარში, როცა შიო III საპატრიარქო კუნკულ-ბარტყულით შეიმოსა. ინტრონიზაციის ცერემონია ტაშით დასრულდა. სვეტიცხოვლის ტაძარში შიო III საპატრიარქო კუნკულ-ბარტყულით შემოსვას მრევლი ოვაციებითა და ტაშით შეხვდა.

სვეტიცხოველში საზეიმო წირვა, სადაც ახლად არჩეული უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ შიო III-ის ინტრონიზაცია შედგა, 10:00 საათზე დაიწყო.

ინტრონიზაციას აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, სასულიერო პირები და რიგითი მოქალაქეები დაესწრნენ.

საქართველოს რესპუბლიკა

№55. ოთხშაბათი, 13 მაისი, 2026 წელი

# გილოცავთ!



ილია II.

ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს საპატრიარქოს სტუმრად ეწვია სომეხ საეკლესიო მოღვაწეთა დელეგაცია. ერთ-ერთმა მაღალი რანგის სომეხმა საეკლესიო მოღვაწემ თითქოს იუმორით, მაგრამ გარკვეული ცინიზმით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს შეჰკადრა: ჩვენ გვყავდა პატრიარქი ვასგენ I, რატომ არის რომ თქვენ, ილია I კი არა, ილია მეორე ხართ?

შეკითხვა იმდენად უაგრო იყო, რომ მას კომენტარი არ სჭირდებოდა. მთავარი კი ისაა, რომ ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა უმალვე მოკლედ, მოსწრებულად უპასუხა: ილია I საქართველოში თექვსმეტი საუკუნის წინ ზეობდაო. ეს უნიკალური პასუხი ყველა იქ მყოფმა კმაყოფილებით მიიღო.

სწორედ ზოგიერთი ქართველი მღვდელმთავრის ზეობის პერიოდსა და ნუმერაციაზე მინდა მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა*.



შიო III.

# ჭეშმარიტი ქართველობა მარადიულ მზადყოფნაშია, მედგრად გიდგეთ მხარში!

**ელია,** იგივე ილია I ქართლის ეკლესიის მეოთხე მამამთავარი იყო. მოღვაწეობდა IV საუკუნის 90-იან წლებიდან V საუკუნის დასაწყისამდე. ამ პერიოდში მეფობდა გაკურ თრდატის ძე. ამავე დროს აშენდა ბოლნისის სიონი, რუსთავისა და ნეკრესის ეკლესიები: **„მეფობდა ესე თრდატ... კაცი მორწმუნე, ბრძენი და გონიერი... ამან სიბრძნითა თვისითა... გამოაჩინა ჯვარნი და შეჰკაზმნა ეკლესიანი. ამის ზე მოკვდა ევისკოპოსი და დასვა მის წილ ელია“** („ქართლის ცხოვრება“, თბ., 2008 წ.).

გვინდა შევეხოთ **„კირიონებსაც“.** ჩვენს ისტორიოგრაფიაში არის გარკვეული კითხვა-სხვაობები. ასე მაგალითად, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ.) სრულიად საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი ისტორიოგრაფიაში ზოგან წარმოდგენილია „კირონ II-დ“, რეალურად კი იგი „კირონ III“-ეა. ისტორიკოსები, ვინც აღნიშნულ საკითხს სწავლობენ, არ უარყოფენ კირონის მესამეობას, რადგან ამ პიროვნების „მეორედ“ გამოცხადება ტრადიციულად მიაჩნიათ. ამიტომ დასაბუთების გარეშე უპირატესობას პირველ ტერმინს აძლევენ (აუცილებლად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ამ სტრიქონების ავტორსაც ამ მიმართულებით გარკვეული „ცოდვა“ მიუძღვის, რაც მიმაჩნია, რომ უნდა დაზუსტდეს და მომავალში გზა უნდა მივცეთ რეალურ ჭეშმარიტებას „დამკვიდრდეს ტერმინი **„კირიონ“ III).**

## კირიონ III-ის წინამორბედები

**კირიონ** ქართლის კათოლიკოსი დაახლოებით 599-614/16 წ.წ. მან მიიღო ბერძნული განათლება და დიოფიზიტობა. შემდეგ გადავიდა ქალაქ დვინში, სომხურ მონოფიზიტურ საკათოლიკოსო ცენტრში, სადაც დაუახლოვდა მონოფიზიტ პატრიარქს მოსეს, თვითონაც აღიარა მონოფიზიტობა და დაიკავა აირარატის გავარის ქორეპისკოპოსისა და დვინის კათოლიკე მონასტრის წინამძღვრის ხარისხები. სომხეთში 5 წლის სამსახურის შემდეგ ქართლის პრომონოფიზიტურად და სპარსოფილურად განწყობილი ძალების ხელშეწყობით იგი მცხეთის საკათოლიკოსო ტახტზე ავიდა. არის ცნობა, რომლის მიხედვითაც **კირიონ I**-ის სამწყსოში ამ დროს ეგრისის სამიტროპოლიტო შედიოდა.

**კირიონ I**-მა დიდი გავლენა მოიპოვა ქართლის როგორც სასულიერო, ისე საერო ცხოვრებაში. მისი აქტიურობითა და წარჩინებულთა მხარდაჭერით ქართლში საბოლოოდ გაიმარჯვა დიოფიზიტობამ, ხოლო ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის კურსი ბიზანტიისაკენ წარიმართა. **კირიონ I**-მა მარჯვედ გამოიყენა შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება, ქვეყანას იდეოლოგიური დამოუკიდებლობა მოუპოვა და შეუდგა კარგად მოფიქრებული ეროვნული პროგრამის განხორციელებას, რომლის მთავარი იდეა იყო ახლად აღდგენილი პოლიტიკური „ყოველი ქართლის“ განსამტკიცებლად სასაზღვრო პროვინციების შერეული მოსახლეობის საეკლესიო მსახურებაში ქართლის ენის დამკვიდრება. **კირიონ I** იყო დიდად განათლებული, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებისა და სტილის მქონე ადამიანი, თავდაჭერილი პოლემიკოსი. გონიერი და მტკიცე დიპლომატი, გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწე.

**კირიონ II** ქართლის კათოლიკოსი ზეობდა დაახლოებით 678-683 წწ. ზემომოტანილი ინფორმაციის შემდეგ, აუცილებელია კირიონ იერონიმეს ძე საძაგლიშვილი, საქართველოს პატრიარქი 1917-18 წლებში აუცილებლად მოვიხსენიოთ, როგორც **„კირიონ III“.**

* * *

**1917 წლის 8-17 სექტემბერს თბილისის საკათედრო ტაძარში ჩატარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კრება, რომელმაც პატრიარქი აირჩია. დასახელებული იყვნენ ეპისკოპოსი კირიონი და მიტროპოლიტი ლეონიდე.**

11 ხმის უპირატესობით გაიმარჯვა კირიონმა. 1 ოქტომბერს, მცხეთობას, სვეტიცხოველში იგი აკურთხეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად. ნიშანდობლივია, რომ 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი, სადაც საზეიმო პარაკლისი კირიონ III-მ გადაიხადა. შემდგომი საზეიმო პარაკლისი პატრიარქმა 1918 წლის 27 მაისს „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს გადაიხადა.1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში დასასვენებლად მყოფი კირიონ III, თავის საწოლში მყოფი ტყვიით განგმირული იხილეს. გამოძიება არ შემდგარა, დამნაშავეები არ დასჯილან.



კირიონ II
(რეალურად კირიონ III).



დავით V
(რეალურად დავით VII).

* * *

**ორიოდე** საკითხი კათოლიკოს-პატრიარქ **დავით V-ის** (1972-1977 წწ.) შესახებ. ვფიქრობთ, აქაც დაზუსტებაა საჭირო. ნიშანდობლივია, რომ დავით დევდარიანი საისტორიო ლიტერატურაში ზოგან მოხსენებულია როგორც დავით V. მისი უწმინდესობის ზეობის წინ სულ ცოტა ექვსი დავითი მოღვაწეობდა.

აი ისინიც:

**დავით I** ქართლის კათოლიკოსი ზეობდა დაახლოებით 947-955 წწ.

**დავით II (მეფე ალექსანდრე I-ის ძე)** კათოლიკო-პატრიარქი 1425/26–1428 წწ. 1420 წლის მცხეთის სვეტიცხოვლისათვის მიცეულ შეწირულების განახლების წიგნში მეფე ალექსანდრე პატრიარქ მიქაელს სთხოვს მისი ძის ხელდასხმას. „კათალიკოზსა მიქაელს შევვედრეთ ჩუენ მიერი სურვილი საწადელი ძე ჩუენი მონაზონი დავით მის მიერვე ხელდასხმულ იქნას“. „მცხეთის პატრიარქად განმზადებულ“ მონაზვნად მოიხსენიება დავითი 1424 წლის გარეჯისადმი შეწირულების წიგნშიც. 1426 წლის ალექსანდრე მეფის ზევდგინიძეებისათვის მიცემულ წყალობის წიგნში და 1428 წლის სვეტიცხოვლისათვის შეწირულების სიგელში მოიხსენიება, როგორც ქართლის კათოლიკოსი. **დავით II** პატრიარქობის დროს მეფე ალექსანდრემ შესწირა სვეტიცხოველს საგარეჯოს მთას აქეთი და მთას იქეთი სოფლები.

**დავით III** კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. 1435/36–1438/39 წწ. მის პატრიარქობაში მეფე ალექსანდრე I 1438/1439 წწ. სწირავს სვეტიცხოველს ატენის წინაუბანს. კათოლიკოს-პატრიარქ **დავით III**-ის ზეობაში, 1438-1439 წწ. ჩატარდა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება, რომლის მთავარი მიზანი იყო კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა დოგმატური უთანხმოების დაძლევა და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის უნიის დადება. სამხედრო-პოლიტიკური მიზნებით (თურქების აგრესია და დასავლეთ ევროპისაგან დახმარების იმედი) ბიზანტიის ბერძნული საპატრიარქოები (ანტიოქიის გამოკლებით) იძულებული გახდნენ, ხელი მოეწერათ უნიაზე. უნიას დაეთანხმა რუსეთის ეკლესიაც. საქართველოს დელეგაციამ – მეფე ალექსანდრე I-ის საერო წარმომადგენელმა და მიტროპოლიტმა გრიგოლმა (ზოგიერთი ცნობით იოანემ) – უნია არ მიიღო.

**დავით IV (ჭავჭავაძე)** კათოლიკოს-პატრიარქი 1443/47–1459 წწ. 1447 წლის დეკემბერში მეფე გიორგი VIII-ის ბრძანებით შედგენილ ქართლ-კახეთის საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში გიორგი VIII ამტკიცებს მამის, მეფე ალექსანდრეს მიერ სვეტიცხოველისადმი ბოძებულ სიგელს, რომლითაც სვეტიცხოვლის კუთვნილი მამულები კახეთსა და ქართლში გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან. მისი კათოლიკოსობის დროს მეფე გიორგი VIII-მ შესწირა მცხეთის სვეტიცხოველს ნიაბის ბოლოს სოფელი გოშნი და დაიწესა თავისთვის და თავისი ძმის დიმიტრისთვის ექვსი აღაპი. **დავით IV**-ის დროს დაიწყო ერთიანი ქართული სამეფოს რღვევის პროცესი, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წ.) გართულდა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელები (ცხადია დავით IV-ც) ყოველთვის იბრძოდნენ სრულიად საქართველოს დანაწილებისა და ქვეყნის დაშლის მომხრეთა წინააღმდეგ.

**დავით V,** კათოლიკოს-პატრიარქი 1466-1479 წწ. გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს ბოლო კათოლიკოს-პატრიარქი. საპატრიარქო ტახტი დაიკავა ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის დროს. იბრძოდა ეკლესიური ერთიანობის შენარჩუნებისა და მცხეთის საპატრიარქო მფლობელობის აღდგენისათვის. მისი კათოლიკოსობის დროს ბაგრატ მეფემ შესწირა სვეტიცხოველს სოფელ დიღომს მცხოვრები გლეხები, კახეთს მეფე ალექსანდრემ 1479 წელს ვეჟინის პირას სოფლები ახალშენი და თორღიანი, ხოლო დავით ქაჩიბაძემ განუახლა სვეტიცხოველს სოფელ ყორანთას 1428 წლის შეწირულობა.

**დავით V-ის** პატრიარქობაში დასავლეთ საქართველოში მყოფმა ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქმა მიქაელმა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსად აკურთხა ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი იოაკიმე და შექმნა ე.წ. „მცნება სასჯულოი“, რაც ხელს უწყობდა პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს ეკლესიურ გათიშვასაც.

**დავითი (ნემსაძე) – დავით VI** აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქი 1673-1696 წ.წ.. მანამდე გელათის ეპის-

* 2000 წელს გამომცემლობა „ნეკერმა“ ჩვენი რედაქციით გამოსცა ვრცელი ცნობარი „წიგნი „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“, სადაც მოცემულია სრულიად საქართველოს, ქართლის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა ქრონოლოგიური რიგი და მათი ზეობის ამსახველი მასალა. რომელთა ავტორები არიან აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე და პროფესორები ზაზა აბაშიძე, ქეთევან ნადირაძე, ეკა კაჭარავა, თამარ ქორიძე.

კოპოსი მიტროპოლიტის წოდებით. ერთ-ერთ საბუთში იგი იხსენიება შემოქმედელადაც.

დავითს კათოლიკოსობა, იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის (1660; 1663-1668, 1669-1678, 1679-1681 წწ.) □ნება დართულობითა“, დაუმტკიცა ოდიშის მთავარმა ლევან III დადიანმა (1661-1680 წწ.) მისდამი თავდადებული სამსახურისა და ერთგულების გამო. **დავით VI-მ** აღადგინა ოდიშის სამთავროში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის უმაღლესი საეკლესიო უფლებანი. მან ლევან III დადიანს პირობა დაადებინა, რომ საკათოლიკოსო საქმეებში კათოლიკოსის ნებადაურთავად არ ჩაერეოდა, რომ კათოლიკოსის ერთგული იქნებოდა □რჯულიერების საქმეზედ და სამართლით“ ეპისკოპოსებთან, წინამძღვრებთან თუ ერის კაცებთან დამოკიდებულებაში.

1675 წელს კათოლიკოს დავითის თხოვნით ლევან III-მ აღადგინა ბიჭვინტის ღვთისმშობლის საკუთრება □ საკათოლიკოსოს დაუბრუნა ხობი, ხოლო კათოლიკოსებს სადგომად და სასაფლაოდ შესწირა ხობის ღვთისმშობლის ეკლესია და ორი სასახლე. ამიერიდან, ოდიშს ყოფნის დროს კათოლიკოსებს ღვთისმსახურება ხობის ეკლესიაში უნდა ჩაეტარებინათ.

წარმოდგენილი ინფორმაციის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1972-77 წლებში ერისკაცობაში ხარიტონ ჯიბოს ძე დევდარიანი. მოხსენიებული უნდა იქნას, როგორც დავით VII. 1960 წლის 10 იანვარს, პატრიარქ მელქისედეკ III-ის გარდაცვალების შემდეგ, მისივე წერილობითი ანდერძის შესაბამისად, **დავით V** დატოვებული იქნა მელქისედეკ III-ის მოსაყდრედ (იმხანად უარი განაცხადა). 1972 წლის 1 ივნისს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეთერთმეტე კრებამ იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია.

* * *

**ამ დღეებში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა ქართულ მართლმადიდებელი. სამოციქულო ეკლესიის ცხოვრებაში. ქვეყნის დიდი პატრიარქის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის. ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის. მსოფლიოში ფართოდ აღიარებული ილია II-ის გარდაცვალების შემდეგ წმიდა სინოდმა ყოველგვარი ქრისტიანული ეტიკეტის დაცვით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია პატრიარქის მოსაყდრე (უკანასკნელი 8 წლის მანძილზე), მიტროპოლიტი შიო მუჯირი □შიო III.**

მოკრძალებით შევახსენებ მკითხველს მონაცემებს საქართველოს ახალი პატრიარქის წინამორბედების შესახებ.

**შიო I, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო 1356-1364 წწ.** ეს პერიოდი მონღოლებთან მძიმე საურთიერთობო იყო. ამ პერიოდში საქართველოს მეფეები იყვნენ გიორგი V ბრწყინვალე (1318-1346 წწ.), დავით IX (1346-1360 წწ.), ბაგრატ V (1360-1393 წწ.).

**შიო II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლოებით 1439-1443/47 წწ.** 1440 და 1442 წლებში პატრიარქი შიო ამტკიცებს მეფე ალექსანდრეს მიერ მცხეთის სვეტიცხოვლისათვის შეწირულების სიგელებს. მოხსენიებულია მეფე ალექსანდრეს 1441 წლის ანდერძში, სადაც აღნიშნულია, რომ მეფე ალექსანდრემ მცხეთას □ცალკე ახალი ეკუტერი“ ააშენა □საუკუნოდ საყოფელად“ და ოთხი მეეკვდრე მწირველი გაიჩინა. მეფე სთხოვს კათოლიკოს შიოს და □შემდეგთა კათოლიკოზთა“, რომ ეს ანდერძი დაამტკიცონ და შეასრულონ. 1443 წელს კათოლიკოსი შიო გარეჯის დოდოს მონასტერს უბრუნებს თოლეჯის მამულს, რომელიც მანამდე მონასტრის იყო, მაგრამ ამ დროისთვის მცხეთას სჭერია. დოდოს მონასტრის წინამძღვარი და კრებული პატრიარქს მადლობას სწირავენ. ესაა პერიოდი, როცა საქათველოში მეფობდა რუსუდანი. შემდგომ ხანში **შიო II-ს** მსახურება კათოლიკოსის რანგში სახელმწიფოში ორმეფობის დროს (1246-47 წწ.) მოუწია.

**მიგვაჩნია, რომ მოწოდებული სურვილები (შენიშვნები), გათვალისწინების შემთხვევაში, სარგებელს მოუტანს ქართულ ისტორიოგრაფიას.**

**როინ მეტრეველი,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი



# „ოცნების“ ოფისში საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა გაიმართა



**პოლიტიკური გაერთიანება □ქართული ოცნება □დემოკრატიული საქართველოს□ გორგასლის ოფისში საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა გაიმართა**, რომელსაც პარტიის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** და ვიცე-პრემიერი, სამართალდამცავი ორგანოების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი **მამუკა მდინარაძე** ესწრებოდნენ.

პარტია □ქართული ოცნების□ინფორმაციით, უმრავლესობის წევრებმა სასესიო კვირის პლენარულ სხდომებზე განსახილველ საკითხებზე და მიმდინარე პოლიტიკურ თემებზე იმსჯელეს.

**□შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სხდომაზე განიხილეს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ არსებული მნიშვნელოვანი მიმართულებები და ბოლო ორი კვირის განმავლობაში განვითარებული პროცესები.**

**სხდომაზე საუბარი შეეხო ეკონომიკურ მიმართულებებს, მათ შორის, ფასების შემსწავლელი კომისიის დასკვნას. დეტალურად განიხილეს, თუ რა ნაბიჯებია დაგეგმილი აღნიშნული მიმართულებით აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში, ასევე, იმსჯელეს აღმასრულებელი რგოლის მიგნებებსა და შეფასებებზე.**

**ამასთან, უმრავლესობის სხდომაზე განიხილეს ეკონომიკური ზრდის საკითხიც და აღინიშნა, რომ შესაბამისი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას ეტაპობრივად მიეწოდება. საუბარი შეეხო პრემიერ-მინისტრის მნიშვნელოვან საერთაშორისო ვიზიტებსა და უკრაინასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე, განიხილეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დელეგაციის ვიზიტი და მისი მნიშვნელობა.**

**განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახელმწიფო მინისტრის როლს, განვლილ გზას და მის მიერ წარმატებით განხორციელებული საქმიანობის შეფასებას. ამ კუთხით, ხაზი გაესვა კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით მიღწეულ შედეგებს და სამომავლო გეგმებს.**

**სხდომაზე საუბარი შეეხო ძალადობის ფაქტებზე დაკავებული ყოფილი და მოქმედი ძალოვნების საკითხსაც და აღინიშნა, რომ კანონი ყველასთვის თანაბრად მოქმედებს და ინდულგენცია ვერ გავრცელდება ვერცერთი პროფესიის წარმომადგენელზე.**

**ასევე, განიხილეს 4 ოქტომბრის საქმესთან და ჯაშუშების გამოვლენასთან დაკავშირებული საკითხები.**

**სხდომაზე იმსჯელეს პლენარულ სესიებზე წარსადგენ და მისაღებ საკანონმდებლო ინიციატივებზეც□**

12.V.2026

# სლოვაკეთში, თვეში ერთხელ, ლიტურგია ქართულ ენაზე აღევლინება



**სლოვაკეთის მართლმადიდებლური ეკლესიის გადაწყვეტილებით, სლოვაკეთში თვეში ერთხელ ლიტურგია ქართულ ენაზე აღევლინება,** – ამის შესახებ ნათქვამია პარლამენტის თავმჯდომარის, **შალვა პაპუაშვილისა** და სლოვაკეთის პარლამენტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის, **რიხარდ რაშის** შეხვედრასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციაში. მათივე ცნობით, მხარეებმა ისაუბრეს საპარლამენტო კავშირების შემდგომ გაღრმავებაზე.

## სლოვაკეთის პარლამენტის თავმჯდომარე:

# დიალოგი და არა სანქციები

**სლოვაკეთი მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში,** □ამის შესახებ სლოვაკეთის პარლამენტის თავმჯდომარემ **რიხარდ რაშიმ** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან **შალვა პაპუაშვილთან** ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.



**□კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბრატისლავაში. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი ისტორიული ვიზიტია ბრატისლავაში. მოხარული ვარ, რომ ეს არის ჩვენი დიალოგის გაგრძელება, რომელიც გასულ წელს ჟენევაში, საპარლამენტთაშორისო კავშირის ფარგლებში დავიწყეთ და რასაც აპრილში საქართველოს პრეზიდენტის ბრატისლავაში ვიზიტი მოჰყვა. მინდა, გაგიზიაროთ ჩვენი შეხვედრის ძირითადი ასპექტები. უპირველეს ყოვლისა, სლოვაკეთი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ვინაიდან დღეს ქვეყნების მთლიანობა ირღვევა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სლოვაკეთი გააგრძელებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას.**

**ჩვენ შევხვდით, რათა გავაძლიეროთ და გავაუმჯობესოთ საპარლამენტო თანამშრომლობა. შეხვედრას ესწრებოდნენ პარლამენტის წევრები და სხვა დაინტერესებული მხარეები, რომლებიც კავშირში იქნებიან საქართველოს პარლამენტთან. წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა კომიტეტის წარმომადგენლები □განათლების, სოციალური საკითხების, ასევე თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებებით, რადგან ბევრი სფეროა, სადაც შეგვიძლია გამოცდილების გაცვლა, ასევე თემები, სადაც შეგვიძლია, გაგიზიაროთ ჩვენი გამოცდილება ევროკავშირში გაწევრიანების პროცესიდან□,**□განაცხადა **რიხარდ რაშიმ.**

როგორც რიხარდ რაშიმ აღნიშნა, საქართველო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო საყრდენია.

**□საქართველო არის მნიშვნელოვანი და სტრატეგიული სატრანსპორტო გზა. შესაძლოა, ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რომ გვჭირდება კონკრეტული ადგილები, საიდანაც ენერგორესურსებს მივიღებთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამასთან, გვჭირდება უსაფრთხო სატრანსპორტო გზა. მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოს, რომ ძალიან ეფექტურად მუშაობს რესურსების დივერსიფიკაციის მიმართულებით, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, რაც ხდება უკრაინის კონფლიქტსა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. შესაბამისად, საქართველო დარჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო საყრდენად. საქართველო ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, რომელსაც სლოვაკეთი სხვადასხვა საგრანტო პროგრამით უჭერს მხარს. “**

რიხარდ რაშიმ ასევე აღნიშნა, რომ სლოვაკეთს სურს, დაეხმაროს საქართველოს ყველა იმ საკითხში, რომელიც საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირში ინტეგრაციისთვის.

**□ჩვენ ასევე გავიხსენეთ ევროკავშირში ინტეგრაციის გზა. გავიარეთ ყველა ის ეტაპი, რაც საჭიროა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას ექსპერტების დონეზე □ რა იყო საჭირო რეალურად ევროკავშირში გასაწევრიანებლად. სლოვაკეთის ოფიციალური პოზიციაა, რომ უნდა შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ სტრატეგიული დიალოგი. გვინდა, დავეხმაროთ საქართველოს ყველა იმ საკითხში, რომელიც საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირში ინტეგრაციისთვის. მიგვაჩნია, რომ საუკეთესო გზა არის დიალოგი და არა სანქციები, მიუხედავად იმისა, რომელ სფეროს ეხება საკითხი. დიალოგი ეხმარება, ხოლო სანქციები ადამიანების ცხოვრებას აზიანებს. გვსურს თქვენი ქვეყნის მხარდაჭერის გაგრძელება, თანამშრომლობის გაძლიერება. გვინდა, კულტურა, ახალგაზრდობა და ეკონომიკა გახდეს ჩვენი ურთიერთობების განვითარების ძირითადი სფეროები და ჩვენი ურთიერთობები მომავალშიც ისე განვითარდეს, როგორც აქამდე□**



# ჰუმანური პედაგოგიკა თუ ფსევდო-პედაგოგიკა?

**„პედაგოგიკა არ არის მეცნიერება. მეცნიერება რომ იყოს, ყველანი ერთნაირი ვიქნებოდით. ყველა ფიზიკოსი, კათედრაზე როცა დადგება, იმაზე ილაპარაკებს რაც უკვე აღმოჩენილია“**

სწორედ აღმოჩენილზე უნდა ესაუბროს მეცნიერმა ახალგაზრდობას და აუხსნას საგანი, რაც აღმოჩენილი არ არის, ის მხოლოდ ლაბორატორიებში იბადება და თავის გზას მიიკვლევს სამეცნიერო წრეებში. ეს არის ჭეშმარიტი მეცნიერება, თავისი მიგნებებითა და მტკიცებულებებით. ჯერ არავის არ მოსვლია აზრად რომ პედაგოგიკა მეცნიერება არ გახლავთ. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში რომაელმა ორატორმა და მეცნიერმა, პედაგოგმა კვინტილიანემ დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოაყალიბა პედაგოგიკა, რისი დასტურიცაა მისი თხზულებათა წიგნი „ორატორული სწავლებანი“ გარკვეული დროის განმავლობაში აღზრდის საქმეში ცოდნისა და გამოცდილების დაგროვების შედეგად წარმოიშვა მეცნიერება, რომელიც ყოველივე ამ მიღწევების ანალიზს აკეთებდა და სწორი მეთოდებით გადასცემდა აღმზრდელებს. პედაგოგიკის მეცნიერება ხელს უწყობდა ამ მეთოდების დახვეწას პრაქტიკული საქმიანობისათვის, ამასთან ერთად საზოგადოებას აცნობდა იმ მკვლევართა მოღვაწეობის მნიშვნელოვან მხარეებს, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ დარგში. პედაგოგიკა მეცნიერულად განიხილავს და ასაბუთებს აღზრდის ფორმებსა და მიდგომებს.

* * *

**ბ-ნი შალვა ამონაშვილი „ამონაშვილის აკადემიაში“ ერთ-ერთი ლექციის მიმდინარეობის დროს აღნიშნავს:**

**„კლასიკოსი არის მარკ ფაბიუს კვინტილიანე. ეს არის I საუკუნე, ჩვენი ეპოქის დასაწყისი. კვინტილიანე რომში ხსნის თავის პირველ სკოლას – „სიხარულის სკოლას“ მან საფუძველი ჩაუყარა პედაგოგიურ კლასიკას. რა დაუდო მან საფუძვლად თავის კლასიკურ მოძღვრებას? – ქრისტიანული ფრაზა – „ჩვენი სული ციური წარმოშობისაა. ეს იყო მისი ძლიერი ფუნდამენტი და ამ ფუნდამენტზე ააშენა თავისი შესანიშნავი რიტორიკული სკოლა“**

არც ერთი წყარო არ გვიჩვენებს, რომ კვინტილიანემ სადმე „პირველი სიხარულის სკოლა“ გახსნა (თუ მიმითითებთ მადლობელი დაგრჩებით!).

რომში, სადაც მისი მამა რიტორიკას ასწავლიდა, კვინტილიანე სწავლობდა ცნობილ გრამატიკის სპეციალისტთან რემი პალემონთან და ორატორ დომიციანე აფრასთან. ოცი წლის განმავლობაში კვინტილიანე ასწავლიდა რიტორიკას და დამსახურებულად სარგებლობდა უმაღლესი პატივისცემით. ამ დროს კვინტილიანე კარგავს თავის ცხრამეტი წლის მეუღლეს და ორ შვილს. ამის შემდეგ, როდესაც კვინტილიანემ მიატოვა პედაგოგიური საქმიანობა, დომიციანე აფრა სთხოვს, რათა თავისი დის შვილიშვილები აღზარდოს.

როდესაც რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, მასწავლებლებად ირჩევდნენ მხოლოდ ქრისტიან სასულიერო პირთა წარმომადგენლებს და სკოლების ძირითადი საქმიანობა მკვეთრად გამოხატავდა საეკლესიო ხასიათს.

ძირფესვიანად შეიცვალა ძველი რომის პედაგოგიური და მეთოდიკური შინაარსი.

ამ პედაგოგთა შორის მარკ ფაბიუს კვინტილიანე ყველაზე გამოკვეთილ ფიგურას წარმოადგენდა.

კვინტილიანეს ნაშრომი – „Instutio Oratoria“ („ორატორობის სწავლება“), საშუალებას გვაძლევს, რათა კარგად გავეცნოთ ავტორის პედაგოგიურ შეხედულებებს.

კვინტილიანეს მნიშვნელოვანი დამსახურება გახლავთ მისი ნაშრომები, რომლებიც ძირითადად აღზრდის საკითხებს მოიცავდა.

„ორატორობის სწავლების“ შესავალში კვინტილიანე აღნიშნავს: „უკვე საშუალება მაქვს დავისვენო წარსული 20-წლიანი მუშაობისაგან ახალგაზრდობის აღზრდის სარბიელზე“. ეს სიტყვები გაგებულ უნდა იქნეს ისე რომ, ის გულისხმობს მისი მასწავლებლობის მთელ კარიერას ესპანეთსა და რომში. ეს სიტყვები აშკარად ეხება მის პოზიციას როგორც სახალხო მასწავლებლისა იმპერიის სამსახურში.

**„პირველი სიხარულის სკოლა“** არსად ნახსენები არ არის რასაც უსიხარულოდ აღვნიშნავ.

კვინტილიანემ „თავის კლასიკურ მოძღვრებას დაუდო ქრისტიანული ფრაზა – „ჩვენი სული ციური წარმოშობისაა“.

სული ბუნების, კოსმიური გონის წყაროა და არა მხოლოდ ქრისტიანული ფრაზა (?) გახლავთ. მისი, როგორც ბუნების შემოქმედების წყაროზე მიუთითებენ მსოფლიოს ყველა რელიგიები და ანტიკური ხანის ფილოსოფოსები.

სული განფენილია მთელს სამყაროში – **მატერიალურსა თუ არამატერიალურში.**

კვინტილიანე ჩვ. წ. აღ. I საუკუნეში პირველი კლასიკოსი არ ყოფილა.

მას წინ უძღოდა უდიდესი რომაელი მოაზროვნე **მარკუს ტულიუს ციცერონი.** (ძვ.წ.აღ. 60 წ.).

როდესაც რომში მოქმედ პირველ ტრიუმვირატს ციცერონმა „სამთავიანი ურჩხული“ უწოდა, სახალხო ტრიბუნად დანიშნული პუბლიუს პულხერი ციცერონის უპირველესი პოლიტიკური მოწინააღმდეგე გახდა. მან დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც გაძევებით ემუქრებოდა ყველას, ვინც სასამართლოს გარეშე დასაჯა რომის რომელიმე მოქალაქე. კატალინას შეთქმულების მონაწილენი ციცერონმა მხოლოდ სენატის დადგენილების საფუძველზე დასაჯა. ეს კანონპროექტი პირადად ციცერონის წინააღმდეგ იყო მიმართული. ციცერონმა მოახერხა და რომი საკუთარი გადაწყვეტილებით დატოვა.

დაბრუნების შემდეგ „ის კვლავ შეუდგა რიტორიკის შესწავლას და მიუბრუნდა თავის ძველ დაინტერესებას განათლების საკითხებში, მაგრამ „de Oratore“ უფრო მეტია, ვინემ რიტორიკის სახელმძღვანელო ან უმაღლესი განათლების ნარკვევი“.

„ძვ.წ.აღ. 55 წელს ოჯახურმა მიზეზებმა (შვილი ამ დროს 10 წლის იყო, ძმისშვილი კი-11-ის) ხელი შეუწყო განეახლებინა ინტერესი განათლების საკითხებისადმი და ორატორმა გადაწყვიტა პასუხისმგებლობა ეკისრა მათი აღზრდისათვის. ვინაიდან იმ დროს ძნელი იყო შესაფერისი რეპეტიტორის მოძებნა, ჩაიფიქრა რეპეტიტორების კლასის შექმნა მისივე მონაწილეობით. ნაშრომი „Partitiones Oratoriae“, რომელიც იმავე წელს გამოქვეყნდა, წარმოადგენს რიტორიკული კატეხიზმის სახეობას, განკუთვნილს თავისი ვაჟისათვის და ნათლად გვიჩვენებს თუ როგორი განათლებული უნდა იყოს ორატორი განათლების თეორიაში.

მოგვიანებით ციცერონმა საკუთარი პროგრამა განავითარა ნაშრომებში – „The Brutus“, „The orator“ და ჩვენამდე არმოღწეულ „Hortensius“-ში, მაგრამ „de Oratore“ შეიცავს ამ დოქტრინათა არსს და წარმოადგენს ციცერონის აღმზრდელობითი თეორიის სრულ ცნობებს...

წიგნში „de Oratore“ ციცერონი აჯამებს თავისი დროის რომაული სკოლების განათლების სისტემას. ციცერონის თეორია განათლების შესახებ მოიცავს უმაღლესი სწავლების დამატებით კურსებს...“

ასე რომ კლასიკური პედაგოგიკა ციცერონიდან იწყება და არა კვინტილიანედან.

* * *

**„გამარჯვებული არის ის, ვინც თავის გამარჯვებას არ ეძებს სხვის დამარცხებაში, სხვის ჯობნაში, – განაგრძობს ბ-ნი შალვა და მოჰყავს უცნაური მაგალითი: „გოგონების შეჯიბრი იყო ტანვარჯიშში. გაიმარჯვა ერთმა და დააყენეს პირველ საფეხურზე. ეს გოგონა ჩამოვიდა და მეორე ადგილზე მყოფი აიყვანა თავის ადგილზე, იმიტომ რომ ეს გამარჯვება მას ეკუთვნისო. რა ვთქვათ ასეთ ქცევაზე?**

(თუ ეს მოგონილი ამბავი არ არის, ფსიქიატრის ჩარევას ვურჩევდი მსაჯებს! თუ მეორეც ასეთი თავმდაბალი აღმოჩნდებოდა, წარმომიდგენია, როგორი ჭიდაობა გაიმართებოდა საჩემპიონო კვარცხლბეკის ირგვლივ! **– ზ. ბ**.) დაუწუნებდით საქციელს? – რად დაკარგე ოქროს მედალიო? გაბოროტდით იმის გამო, რომ თქვენმა შვილმა სხვას დაუთმო პირველი ადგილი?! პირიქით, თქვენ ეს უნდა გაგიხარდეთ! რა დაინახა! რა დააყენა მაღლა თქვენმა შვილმა, რომ ოქროს მედალი არაფრად უღირდა?! სიმართლე უღირდა მას! აი, სად გაიმარჯვა! ის სხვას დაეხმარა გამარჯვებაში! აი, ჰუმანურ პედაგოგიკას საფუძველი სულიერებაში აქვს, არა? სულიერება, რომელშიც რწმენაც არის ღვთისა, სულის უკვდავებაც არის ჩადებული და ეს ცხოვრებაც, რომელიც მონაკვეთია ჩვენი მარადიული ცხოვრებისა, როგორ უნდა გავიაროთ აქ და რითი უნდა წავიდეთ იქ – ხელცარიელნი თუ ხელდამშვენებულნი?

აი, ეს იდეა არის ჩადებული ასეთ გამარჯვებაში. ...იქ სადაც ფიზიკური ძალა იმარჯვებს, სულიერი, ზნეობრივი ბრძოლა მარცხდება. თუ მე ფიზიკური ძალა მაქვს, სურვილი მიჩნდება დავამარცხო მოწინააღმდეგე. ეს კი სულიერ მარცხს ნიშნავს!“

თქვენი არ ვიცი, მკითხველო და მე კი თავი ამტკივდა, ფიზიკურად დავმარცხდი და ვცდილობ სულიერი სიმშვიდე შევინარჩუნო!

ასეთ ან სხვა შეჯიბრებებზე გამარჯვებულთა გამოვლენაზე მსაჯთა კოლეგია ერთობლივად მსჯელობს თუ ვინ რომელი ადგილი დაიმსახურა და ვინ რომელ საფეხურზე უნდა დაიკავოს ადგილი.

წარმოიდგინეთ, რომ ყველა სპორტსმენი ასეთი „ჰუმანური პედაგოგიკით“ იყოს აღზრდილი, როგორი წეწვა-გლეჯა გაიმართებოდა კვარცხლბეკთან რათა ერთმანეთს დაუთმონ საკუთარი ადგილი თუ ისინი „სხვის ჯობნაში თავს დამარცხებულად“ იგრძნობდნენ?! სად არის ამ დროს „უფლებააყრილი“ მსაჯთა კოლეგია? როგორ ეგუებიან ისინი საკუთარი გადაწყვეტილების ასე უხეშად სანაგვეში მოსროლას?

ყველამ კარგად იცის და ჩვენც იმის მოწმენიც ვყოფილვართ რომ გამარჯვებულები და დამარცხებულები გულწრფელად ულოცავენ ერთმანეთს და ხელგადახვეულები ტოვებენ სარბიელს. ისეთ სპორტსმენებს კი (მწამს რომ ასეთები არ არსებობენ), რომლებიც „ჰუმანური პედაგოგიკის“ გავლენით ერთმანეთს მაისურებს ახევენ და ცდილობენ საკუთარი გამარჯვება აჩუქონ, ფსიქიატრიულ კლინიკებში მიავლენენ.

ბ-ნი შალვა, როგორც ადრე აღვნიშნე, ხშირად იმოწმებს ცნობილ ქართველ ფსიქოლოგს დიმიტრი უზნაძეს და პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კლასიკოსებთან ერთად მის მოძღვრებასაც კარგად იცნობს.

ბავშვები თამაშისა თუ ოფიციალური შეჯიბრებების დროს მხოლოდ იმას ცდილობენ რომ გაიმარჯვონ, ამით სახელი მოიხვეჭონ და „სხვის ჯობნაში თავი დამარცხებულად არ იგრძნონ“.

**დიმიტრი უზნაძე** წერს: **„როდესაც ბავშვი ხტის და დარბის, ის ამას თითქმის არასდროს მარტო და ცალკე არ შვრება; მას ყოველთვის პარტნიორი ჰყავს, რომელთან ერთადაც ის გარბის და უპარტნიოროდ მის სირბილს არავითარი აზრი არა აქვს იმიტომ, რომ ახლა მას სირბილი კი არ აინტერესებს თავისთავად, არამედ სირბილში თავისი მოწინააღმდეგის გასწრება!! თუ პარტნიორი სკოლის წინარე ასაკის ბავშვსაც ჰყავს, იგი მას როგორც კომპანიონი აინტერესებს. აქ კი, ამ ასაკობრივ საფეხურზე, ეს უკანასკნელი მოწინააღმდეგედ იქცევა და, მაშასადამე, ახლა მისთვის თვითონ სირბილი კი არ არის თავისთავად საინტერესო, არამედ მოწინააღმდეგესთან შეჯიბრება და მისი გასწრება. ასეა სხვა შემთხვევაშიც: ჭიდაობისა და ბურთაობის პროცესის ნაცვლად ახლა იგი მათი შედეგითაც არის დაინტერესებული: იმით რომ მოწინააღმდეგეს აჯობოს.**

**სასკოლო ასაკის ბავშვის ბურთაობაში, ჭიდაობაში, სირბილში კი მიზანი თვით მოძრაობათა ვითარებაში მარხია, მათ მოხერხებულობაში, ძალაში, გამძლეობაში. აქ მიზნად რაიმე პროდუქტის შექმნა კი არ არის დასახული, არამედ უფრო მაღალი ხარისხის მოძრაობის შესრულება. ვინ უფრო შორს გადახტება, ვინ უფრო შორს გაიტანს ბურთს, ვინ უფრო ღონიერია და მოხერხებული, ვინ უკეთ იჭიდავებს, ვინ ვის წააქცევს...“(დ.უზნაძე – „სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია“, 2025 წ. გვ.143-145).**

დიმიტრი უზნაძე შორს იყო იმ აბსურდისაგან, რომ „იქ, სადაც ფიზიკური ძალა იმარჯვებს, სულიერი, ზნეობრივი მარცხდება“. ბ-ნი შალვა ამონაშვილის აზრით კი გამარჯვებული თუ თავის ადგილს დამარცხებულს დაუთმობს, ის იმარჯვებს.(? **– ზ. ბ.**)

„აი, ჰუმანური პედაგოგიკის მთავარი საფუძველი – მას სულიერება გააჩნია“, – განაგრძობს ბ-ნი შალვა, „სულიერება, რომელშიც რწმენაც არის ჩადებული და ეს ცხოვრება, რომელიც მონაკვეთია ჩვენი მარადიული ცხოვრებისა, როგორ უნდა გაიაროს მან... აი, ეს იდეა არის ჩადებული ასეთ გამარჯვებაში“.

**ამ მოსაზრებას არავითარი განმარტება აღარ სჭირდება. მკითხველი თვითონ გამოიტანს დასკვნას.**

**ზურაბ ბოცვაძე,**
პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.



(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №52-54






**მსგავსი აზრთა ჭიდილი, რაც ფასების საკითხმა გამოიწვია, უკანასკნელ პერიოდში სხვა არ მახსოვს. რაც მთავარია, ეს თემა სპეკულაციის, პოლიტიკური აბრაკადაბრის საჩიჩხინოდ იქცა. ჩვენი ოპოზიციონერები, იმის მიუხედავად, რამე გაეგებათ თუ არა ამ დარგში, თავს ვალდებულად თვლიან ტრიბუნაზე შეღგნენ და „საკუთარი აზრი“ გამოთქვან, ან ტელეეკრანით „გაანათლონ მოსახლეობა“. ეს იოლია, ფასები ყველაზე ხელწამოსაკრავი თემაა...**

# სიკვდილს... მაინც სიღარიბე სჯობს!



## ღრენები და კბენები ფასთა და ჯარიმათა ირგვლივ!

**სამთვიანი მუშაობის შემდეგ გამოქვეყნდა ფასების რეგულირების საპარლამენტო კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვითაც „პრობლემა ბაზრის სტრუქტურულ მოწყობაშია და არა გადაჭარბებულ მოგებაში. მიწოდების ჯაჭვი არაეფექტური და გრძელია. შესაბამისად, უნდა შეიქმნას ცენტრალიზებული დისტრიბუციის ცენტრები, რომლებიც დააახლოებს მწარმოებელსა და საცალო ქსელებს, იმპორტიორსა და მიმწოდებელს“.**

კომისია რეკომენდაციას აძლევს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ მოხდეს არა აგრესიული, არამედ რბილი ჩარევა და ფასების ადმინისტრირება.

საპარლამენტო კომისიის დასკვნა მიუღებელია ოპოზიციისთვის, გულს უჩქარებს და თავს ატკივებს... რადიკალური ოპოზიციის აზრით (ნიკა გვარამია), კომისიის მუშაობის პერიოდში სრულიად სხვა იყო ჩაფიქრებული და სრულიად სხვა განწყობა იგრძნობოდა: **„ყველაფერი უნდა დაბრალებოდა ბიზნესს და ფასნამატის ჭერი დადგენილიყო. ფასების შემსწავლელი კომისიის დასკვნა, მასში ასახული სისულელეების მიღმა, გულისხმობს მთავარს – საქართველოს მთავრობა და პირადად პრემიერ-მინისტრი კობახიძე იტყუებიან, რომ მაღალი ფასები ბიზნესის ბრალი უფროა“...**

რა თქმა უნდა, რადიკალური ოპოზიცია არ ცნობს არც პარლამენტს და მის კომისიებს, არც მთავრობას, მაგრამ თავისი **„მოღვაწეობის“** ასპარეზად მაინც მათი გადაწყვეტილებების კრიტიკა გაუხდია, ნაცვლად იმისა, საკუთარი წარმატებებით, ნაკეთები საქმეებით აწონებდნენ თავს ამომრჩეველს, გარდა მოხშირებულ-მომრავლებული ევროპული რეზოლუციებისა, რომელთა პირველ წყაროს სწორედ ისინი წარმოადგენენ.

გაცილებით საყურადღებოა **„ხალხის ძალის“** წარმომადგენლის, პარლამენტარ **გურამ მაჭარაშვილის** მოსაზრება ფასების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის დასკვნის შესახებ: **„კომისიის ეს დასკვა არ პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლებიც თვით ხელისუფლებამ დააანონსა გასული წლის ბოლოს, სადაც საუბარი იყო კარტელურ გარიგებებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯანსაღი კონკურენცია არ იყო და, შესაბამისად, ფასები იმიტომ იყო ზოგიერთ პროდუქტზე ძალიან მაღალი. იყო საუბარი იმაზე, რომ საქართველოში გაცილებით მაღალია პროდუქტებზე ფასი, ვიდრე ევროპაში და ჩვენი კომისიის დასკვნებში ეს ყველაფერი ვერ დავინახეთ აღსრულების თვალსაზრისით. ეს დოკუმენტი უფრო სამეცნიერო ხასიათისაა, პარლამენტი კი არ გახლავთ სამეცნიერო დაწესებულება. ეს არის პოლიტიკური ორგანო, რომელმაც კონკრეტული გეგმა და დავალება უნდა მისცეს ხელისუფლებას და შესაბამისად მოსთხოვოს.“**




დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ მოვისმინეთ პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძის** მოსაზრება, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: **ფასები საქართველოში ნომინალურად უფრო იაფია, ვიდრე საფრანგეთში, გერმანიაში ან ევროპის სხვა ქვეყნებში, მაგრამ ჩვენთან ხელფასი ბევრად ნაკლებია, ვიდრე იქ. თუ საქართველოში საშუალო ხელფასი 2400 ლარია, მაგალითად, საფრანგეთში დაახლოებით 2680 ევროა. დიდია სხვაობა და ამიტომაც დღეს საფრანგეთში მოქალაქე ზუსტად ორჯერ უფრო უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე საქართველოში. 2012 წელს ეს სხვაობა იყო ოთხმაგი, დღეს კი არის ორმაგი. განახევრდა სხვაობა, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, გაორმაგებაა საჭირო, რასაც წლები დასჭირდება... ამას ემატება სიღარიბის ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. ჩვენი 350 000 მოქალაქე სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. პენსია არის ძალიან დაბალი...**

**ოოო! აქ ერთი წკეპლა ჩვენს ყოველმხრივ მხარდაჭერილ „ქართულ ოცნებასაც“ არ აწყენს.**

**რა თქმა უნდა, საქართველოში ცხოვრების დონე ძალიან დაბალია. დაბალია ხელფასები, თუმცა, არა ყველასი, მაგალითად, პარლამენტარის. დაბალია პენსიები, მაგრამ სრულიად ერთნაირია ჯარიმები, რომლებიც მძღოლებისთვის კიდევ უფრო გამკაცრდა, 1 მაისიდან თითქმის გაორმაგდა.. ამ ფაქტმა კიდევ ერთი საკბილო მიუგდო ოპოზიციას. ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მომენტი ხელიდან არ გაუშვა და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე ადმინისტრციული პასუხისმგებლობის გამკაცრებას „საყოველთაო საჯარიმო ტერორი და ხალხის შევიწროება“ უწოდა.**

მიშა, აბა, რას იტყოდა! მაგრამ „ერთი თხისკენ და ერთი მგლისკენაო“! ფაქტია:

**– ბოლო წლებში საქართველოში საგზაო მოძრაობის დარღვევისთვის ჯარიმები რამდენჯერმე გაიზარდა, რასაც შსს „საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების პრევენციის საჭიროებით“ ხსნის. პრევენცია კარგია, მაგრამ ჯარიმა მოქალაქის შემოსავლების ადეკვატური უნდა იყოს!**

იმ დღეს ჯონდი ბაღათურიას ვუსმენდი მალხაზ გულაშვილის პოდკასტში. ვის, ვის და ბატონ ჯონდის რადიკალურობას და არაკეთილგანწყობას ვერავინ დასწამებს. გაზრდილი ჯარიმა არასწორი პარკირებისთვის იმ ფონზე, როცა ქალაქში საპარკინგე სივრცეები მაქსიმლურად შემცირებულია, წელში წყვეტს პენსიონერს და თითქმის არაფერს ნიშნავს მაღალი ხელფასების მქონე ჩინოვნიკებისთვის და პარლამენტარებისთვის. ვეთანხმები ბატონ ჯონდის, ეს აშორებს „ქართული ოცნებას“ თავისი ამომრჩევლისაგან, რომლის განდგომას ქაოტური შედეგები შეიძლება მოჰყვეს და ამაზე ნამდვილად უღირს დაფიქრება ხელისუფლებას!

დაფიქრებაც და ხალხის სასარგებლოდ მოქმედებაც! ხელფასებს შორის სხვაობაზე ხატია დეკანოიძეც „წუხდა“ დიდი გულისტკივილით ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში, მაგრამ ვიხსენე და ვერ გავიხსენე ამ საკითხს თავისი პარლამენტარობის დროს რომ შეეწუხებინა ქალბატონი ხატია. ასეა, ფასების პოპულარულ თემასაც იმიტომ ჰყავს დღეს რადიკალურ ოპოზიციაში ზღვა გამხმოვანებელი, რომ საკითხი პოპულარულია. თორემ, ამდენი „სპეციალისტი“ რა უბედურებაა!

* * *

**ახლა სამეზობლოშიც შევიხედოთ. 4-5 მაისს ერევანში გაიმართა „ევროპის პოლიტიკური თანამეგობრობის“ სამიტი და ასევე სომხეთისა და ევროკავშირის ორმხრივი სამიტი. ერევანში იმყოფებოდა უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი, რამაც კრემლი განსაკუთრებულად გააღიზიანა.**

**„სომხეთი აგრძელებს ორ სკამზე ჯდომას“,** – ასე შეაფასა ფაშინიანის პოლიტიკა პუტინის თანაშემწემ იური უშაკოვმა, – **„არ ვიცი, რამდენ ხანს იქნება შესაძლებელი ამ პოზიციაზე დარჩენა, მაგრამ ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ზიანს აყენებს ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას, რომელიც ასე სასარგებლოა როგორც რუსეთისთვის, ისე სომხეთისთვის. თუმცა, მე ვიტყოდი, რომ ისინი უფრო სასარგებლოა ჩვენი სომეხი მეგობრებისთვის, ვიდრე ჩვენთვის“.**

სამიტი სხვა მხრივაც რეზონანსული გამოდგა. სომხეთის პარლამენტის სპიკერმა ალენ სიმონიანმა ბელარუსს რუსეთის გუბერნია უწოდა: **„ჩვენ არ დავუშვებთ, რომ სომხეთი გუბერნიად გადაიქცეს. ჩვენ ვერ გვმართავენ ისე, როგორც ბელარუსს“.** ამის გამო ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სომხეთის რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული საგარეო უწყებაში დაიბარა და საპროტესტო ნოტა გადასცა.

სამიტი ჩვენთვისაც ღირშესანიშნავი აღმოჩნდა. აქ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს ზელენსკიმ და კობახიძემ. უკრაინული მხარის ინიციატივით პრეზიდენტმა ზელენსკიმ სურვილი გამოთქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრს დალაპარაკებოდა. ამ ხანმოკლე შეხვედრას ესწრებოდნენ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი **ანდრიი სიბიჰა** და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **მაკა ბოჭორიშვილი.** ორი დღის შემდეგ კი საგარეო საქმეთა მინისტრებმა სატელეფონო საუბარი გამართეს. საგარეო უწყების ინფორმაციით **„საუბრისას განხილულ იქნა საქართველო-უკრაინის ურთიერთობები, ხაზი გაესვა დიალოგის მნიშვნელობას და ამ მიმართულებით შემდგომ ნაბიჯებს“.**

კიევისა და თბილისის ურთიერთობაში კომუნიკაციის ასეთი ინტენსივობა უმაღლეს დიპლომატიურ დონეზე სიახლეა ბოლო წლებში არსებული უთანხმოებების გათვალისწინებით. ქართული მხარის წარმომადგენლებმა ეს ფაქტი დადებითად შეაფასეს. „ამდვილად არსებობს ჩვენს სახელმწიფოებს შორის გადაუჭრელი საკითხები. მნიშვნელოვანია დიალოგი ყველა დონეზე. ჩვენ გავაგრძელებთ თანამშრომლობას მომავალშიც,“-დაწერა ზელენსკიმ კობახიძესთან შეხვედრის შემდეგ.

**მართლაც სასიამოვნოა ასეთი მეტამორფოზა. მაგრამ ძალაუნებურად ეჭვსაც აღძრავს, რით არის გამოწვეული უკრაინის ხელისუფალთა კეთილგონიერება? რუსეთის გაღიზიანების სურვილით ხომ არა?**



**ალეკო ასლანიშვილი**

# დონალდ ტრამპმა ევროპაც გააოგნა და ნატოც!




**ცნობილი ამბავია, რომ ამერიკის პრეზიდენტი კრიტიკას ვერ იტანს. საშინლად ბრაზდება ხოლმე. სწორედ, ამის გამო გაუფუჭდა მას ურთიერთობა ემანუელ მაკრონთან, კირ სტარმერთან და ჯორჯა მელონისთან. მოგეხსენებათ, იტალიის პრემიერ-მინისტრი ტრამპის დიდი მხარდამჭერი იყო, მაგრამ ურთიერთობა მათ შორის მას შემდეგ დაიძაბა, როცა მელონიმ, ტრამპის კრიტიკისგან, რომის პაპის დაცვა სცადა. ახლა, ეტყობა, გერმანიის ლიდერის ფრიდრიხ მერცის ჯერი დადგა: ამომრჩევლებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს, მერცმა ტრამპის პოლიტიკა გააკრიტიკა.**

**მერცმა განაცხადა, რომ ირანთან ომის დაწყება გაუაზრებელი და დაუგეგმავი ნაბიჯი იყო და რომ შეერთებულმა შტატებმა და ისრაელმა სამხედრო ოპერაცია ევროპასთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე დაიწყო, და ამ ეტაპზე, გაურკვეველია ამერიკის სტრატეგია ომის დასრულებასთან დაკავშირებით. მერცის ამ სიტყვებმა ტრამპი სასტიკად გააღიზიანა.**

გერმანიის კანცლერმა მეტი დრო უნდა დაუთმოს რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებას, რომლის მიმართ სრულიად არაეფექტური იყო და... თავისი დანგრეული ქვეყნის მოწესრიგებას, განსაკუთრებით, მიგრაციისა და ენერგეტიკის საკითხებში, ასე უპასუხა მერცის კრიტიკას ამერიკის პრეზიდენტმა.

მოგვიანებით, ტრამპმა გერმანიის დასჯა გადაწყვიტა და გერმანიაში დისლოცირებული ამერიკული სამხედრო კონტინგენტის შემცირების ბრძანება გასცა. ტრამპის ამ ნაბიჯმა გერმანიის მთავრობაში დაძაბულობა გამოიწვია. ამერიკის სამხედრო ძალები გერმანიაში, რიცხობრივად, მსოფლიოში ყველაზე დიდია: 40 ათასამდე ჯარისკაცი ხუთ სამხედრო ბაზაზეა განლაგებული. მართალია, კონტიგენტის შემცირება მხოლოდ ხუთი ათას სამხედროს შეეხება, მაგრამ, პოლიტიკურად, გერმანიისთვის, ასეთი უმნიშვნელო შემცირებაც მტკივნეულია. ტრამპის თქმით, ამერიკა მილიარდებს ხარჯავს გერმანიაში სამხედრო ბაზების შესანახად. გერმანია კი, ამერიკას არაფერში არ ეხმარება. ტრამპი ასეთი მანევრით გერმანიას თავისი პრეზიდენტობის პირველ ვადაშიც ემუქრებოდა, თუმცა, მაშინ მუქარა არ შეასრულა.

**ახლა, მისმა გადაწყვეტილებამ პენტაგონიც გააკვირვა და ევროპაც. წლის დასაწყისში, პენტაგონმა განაცხადა, რომ გერმანიაში სამხედრო ინფრასტრუქტურას გააფართოებდა. პრეზიდენტმა კი, სრულიად საპირისპირო ბრძანა. ტრამპის ქმედებამ ნატოც გააოგნა და ევროპის ლიდერებიც, რომელთა აზრით, გერმანიაში ამერიკული სამხედრო კონტინგენტის შემცირება ნატოს დაასუსტებს და არასწორ სიგნალს გაუგზავნის პუტინს. ტრამპმის ეს ნაბიჯი ამერიკაშიც გააკრიტიკეს რესპუბლიკელებმა და დემოკრატებმა ერთნაირად! მათი აზრით, გერმანია მუდამ ამერიკის გვერდით იდგა და ახლა ასეთ მოკავშირესთან ურთიერთობის გაფუჭება ამერიკას არ წაადგება. ანალიტიკოსები კი, მიიჩნევენ, რომ პოლიტიკოსების რეაქცია ტრამპის ქმედებაზე გადაჭარბებულია, რადგან ხუთი ათასი სამხედროს გერმანიიდან გაწვევა არაფერს შეცვლის.**

მათივე აზრით, ახლა, ამერიკას ჰაერივით სჭირდება გერმანიის მხარდაჭერა, პირველ რიგში იმიტომ, რომ გერმანიის ტერიტორიიდან ხდება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ტყვია-წამლის მიწოდება. მეორე, ამერიკამ გერმანიაში ისეთი სამხედრო ინფრასტრუქტურა შექმნა, რომლის გარეშე არსებობა, უკვე, შეუძლებელია. ბოლოს, ტრამპიც მიხვდა, რომ გერმანიას ასე ადვილად ვერ დასჯიდა და ახალი გადაწყვეტილება მიიღო, კერძოდ, განაცხადა, რომ ამერიკა გერმანიაში შორ მანძილზე მოქმედ ტომაჰავკის რაკეტებს აღარ განალაგებს, რაც გერმანიის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებაზე იყო გათვლილი.

**ტრამპის ეს ჟესტი, გერმანელებისთვის, უფრო მტკივნეული აღმოჩნდა, ვიდრე სამხედრო კონტინგენტის შემცირება. ტრამპი კიდევ უფრო შორს წავიდა: ახლა, ის ევროპიდან იმპორტირებულ მსუბუქ და სატვირთო ავტომობილებზე ტარიფების 25 პროცენტამდე გაზრდას გეგმავს. ტრამპის ამ განცხადებამ მთელი ბრიუსელი აღაშფოთა. ქალბატონ ფონ დერ ლაიენის თქმით, ტრამპი არასწორად იქცევა, რადგან ევროპამ და ამერიკამ ტარიფების საკითხში დავა დაამთავრა. მისი აზრით, თუ ამერიკა ევროპას ახალ ტარიფებს დაუწესებს, ევროპა ადეკვატურად უპასუხებს.**

# სასმელი წყალი — მსოფლიოს ახალი თავის ტკივილი

**ხმელეთის 70 პროცენტი წყლითაა დაფარული, რომლის 97 პროცენტი ოკეანეებსა და ზღვებშია თავმოყრილი და, შესაბამისად, მარილიანია, ანუ, სასმელად უვარგისი, მხოლოდ დანარჩენი სამი პროცენტია მტკნარი, ანუ სასმელად გამოსადეგი. წყლის მარაგის ამ სამ პროცენტზეა დამოკიდებული პლანეტის მოსახლეობა. ამიტომაა, რომ წყლის დეფიციტი მწვავედ აღიქმება მსოფლიოში. დეფიციტი კი, არათანაბრადაა განაწილებული. ზოგი ქვეყნისთვის სასმელი წყლის დეფიციტი არ არსებობს. ზოგს კი, ეს პრობლემა ძალიან აწუხებს.**

**ამ ბოლო დროს, მსოფლიოს ახალი თავის ტკივილი გაუჩნდა, კერძოდ, ხდება მტკნარი წყლის გამლაშება, ანუ, მტკნარ წყალში მარილის კონცენტრაცია მატულობს და, შედეგად, წყალი დასალევად უვარგისი ხდება. ამ პროცესს არაერთი მიზეზი აქვს.**

ცხელ რეგიონებში, წყლის ინტენსიურად მოხმარება იწვევს ნიადაგში მარილების დაგროვებას და ნიადაგის გამორეცხვას მიწისქვეშა წყლებითა და წყალსაცავებში დაგროვილი წყლით. წყლის დაბინძურება სხვადასხვა ქიმიური ნაერთებით, ასევე, იწვევს წყლის უვარგისობას, მაგრამ მტკნარი წყლის გამლაშების მთავარი მიზეზი მაინც ამ წყლებში ზღვის წყლების შეღწევაა.

კლიმატის ცვლილებების გამო, ზღვის დონე მთელი დედამიწის ზურგზე, მაღლა იწევს, რის გამოც, ზღვის წყლები მტკნარ წყლებში აღწევს და მტკნარი წყალი თანდათანობით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მარილიანდება. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, დამანგრეველ შედეგებს იწვევს.

**წყლის პრობლემა, ყველაზე მეტად გეოგრაფიულად დაბლობ ქვეყნებში იგრძნობა, მაგალითად, ვიეტნამში, ბანგლადეშში და აფრიკის ქვეყნებში. საშიშროება ევროპისა და ამერიკის ქვეყნებსაც ემუქრება, მათ შორის, შეერთებულ შტატებს. მაგალითად, ფლორიდის ზოგიერთ მდინარეში მარილების კონცენტრაციამ საგრძნობლად მოიმატა. ასეთივე მდგომარეობაა ლუიზიანას შტატში, სადაც დასალევი წყალი საგრძნობლად მარილიანი გახდა. 2023 წელს, ამის გამო, ლუიზიანას გუბერნატორმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.**

მდგომარეობა მსოფლიო მასშტაბით რთულდება. სერიოზული კრიზისის მოლოდინში, მეცნიერები, უკვე, განგაშის ზარებს რეკენ. მათი უახლესი მონაცემებით, 2100 წლისთვის, ხმელეთის 77 პროცენტი ამ პროცესის ზეგავლენის ქვეშ იქნება. ექსპერტების აზრით, წყლის პრობლემასთან ბრძოლა კომპლექსური უნდა იყოს. მაგალითად, მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში წყლის დამზოგავი სისტემების დანერგვა, ზღვის წყლის გამტკნარების სისტემების ფართოდ გამოყენება, როგორც ეს ისრაელსა და სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებში ხდება. ასევე, წყლების დაბინძურებასთან ფართომასშტაბიანი ბრძოლა და მიწისქვეშა წყლების კონტროლი დიდად შეუწყობს ხელს ამ ბრძოლას.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**



**რა პროდუქტები შევა „საოჯახო კალათაში“, რომელზეც მაღაზიათა ქსელები მუდმივ ფასდაკლებას გვპირდება? „რითეილ ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარის სოფო ქაშაკაშვილის ინფორმაციით, ყველა პროდუქტში გამოიყოფა თითო კონკრეტული სახეობა ან ბრენდი, რომელზეც მუდმივი ფასდაკლება იქნება.**

**„ეს საოჯახო კალათა განისაზღვრება ისეთი პირველადი მოხმარების სოციალური პროდუქციით, როგორებიც არის: ბრინჯი, მაკარონი, ბურღულეული, წიწიბურა, აუცილებლად – ქათმის ხორცი, კვერცხი, შესაძლოა, პერიოდულად, რძის პროდუქტიც დაემატოს.**

**მსხვილი ვაჭრების მოწადინებას ეჭვის თვალით უცქერიან ექსპერტები. მათი აზრით, ეს ყველაფერი მოჩვენებითი ინიციატივებია.**



# გაიაფებული „საოჯახო კალათა“ მოსახლეობას დიდ შეღავათს არ მოუტანს

**ამ დასახელების პროდუქციაში, ჩვენი წევრები შეეცდებიან, ვთქვათ, ბრინჯის რამდენიმე დასახელება არის ქსელში და კონკრეტულად ერთი დასახელების ან ერთ ბრენდის ბრინჯი გამოყონ და მუდმივად იყოს ფასდაკლება. აქამდე, ჩვენს პრაქტიკაში ვთავაზობდით მომხმარებელს ღრმა ფასდაკლებებს, თუმცა ეს იყო უფრო ქაოსური, ახლა მიეცემა უფრო სისტემური სახე, გამოიყოფა ის კონკრეტული პროდუქტი, რომელზეც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება. სხვადასხვა ქსელში მუდმივად იქნება შეთავაზებული ფასდაკლებები ამ პროდუქციაზე.**

თითოეული ქსელი ინდივიდუალურად გადაწყვეტს, თავისი ბიზნეს პოლიტიკიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, როგორ შესთავაზოს ეს პროდუქტი მომხმარებელს. ერთიან სისტემაზე შევთანხმდით მხოლოდ იმაზე, რომ გამოვყოფთ ამ სოციალურ პროდუქტს.

მოგეხსენებათ, კანონითაც ჩვენს წევრებს ეკრძალებათ, ერთ კონკრეტულზე შეთანხმდნენ. პირიქით, კონკურენცია უნდა იყოს ქსელებს შორის, შესაბამისად, მე არ შემიძლია, ყველა ქსელის სახელით, ინდივიდუალურად ვისაუბრო. თუმცა, მომხმარებელი ამ პროდუქტს თვალსაჩინოებისთვის კარგად დაინახავს, რადგან გამოყოფილი იქნება სპეციალური ფასით ან „ფობლერით“, ექნება შესაბამისი მითითება, რომ ეს ის პროდუქტია, რომელსაც ჩვენ ამ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ვთავაზობთ, როგორც საოჯახო კალათის პროდუქტს, ამ ეტაპზე“ – განაცხადა **სოფო ქაშაკაშვილმა.**

ფასების რეგულირების დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნის წარმოდგენისთანავე, „რითეილ ასოციაციამ“ განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, კომპანიებმა მოკლევადიან პერიოდში ხელშესახები შედეგებისთვის გარკვეული მიდგომები შეიმუშავეს, მაგრამ ეს ყველაფერი ზედაპირულად ეჩვენებათ ანალიტიკოსებს. სოციოლოგ პაატა აროშიძის შეფასებით, კალათაში, სავარაუდოდ, ის პროდუქტები მოხვდება, რომლებზეც მარკეტები ისედაც აკეთებდნენ ფასდაკლებებს, რაც მოსახლეობას დიდ შეღავათს არ მისცემს. ეს მხოლოდ სექტორის მხრიდან საპარლამენტო კომისიის დასკვნაზე რეაგირებაა და რეალური, გრძელვადიანი შედეგის მომტანი ვერ იქნება.

როგორც **პაატა აროშიძე** ვარაუდობს, შესაძლოა, კალათაში 12-13 სახეობის ფასდაკლებული პროდუქცია ვიხილოთ, რაც გამორიცხული არ არის, სხვა საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდით დაკომპენსირდეს.

**„ამ კომისიის მუშაობის პირველი შედეგი, რაც პირადად მე დავინახე, არის ის, რომ სუპერმარკეტებმა გამოთქვეს მზადყოფნა, გარკვეული კატეგორიის პროდუქციაზე ფასები შეამცირონ. რეალურად, პროდუქციის გაიაფებას ხელს სწორედ მონოპოლიები, ოლიგოპოლიური ფასწარმოქმნა, ბაზრის დანაწილება და სხვადასხვა სახის გარიგებები უშლის. მე ვერ ვიტყვი, ამას შესაბამისი კვლევა და დოკუმენტაცია სჭირდება, რამდენად არიან ეს სუპერმარკეტები მონოპოლისტები, თუმცა ფაქტია, რომ ისინი ამ შეთავაზებაზე წამოვიდნენ.**

**სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა მიაღწიოს იმას, რომ ანტიმონოპოლიურმა და თავისუფალი ბაზრის შესახებ კანონმდებლობამ მკაცრად იმოქმედოს – მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხდება ფასების რეალური შემცირება. ფასების კლება შეუძლებელია წმინდა ადმინისტრაციული ღონისძიებებით ან მხოლოდ რომელიმე სუპერმარკეტის კეთილი ნებით, რადგან სხვა შემთხვევაში, ის ისევე მარტივად გამოთქვამს მზადყოფნას ფასების გაზრდაზეც.**

**ამიტომ, მთლად დადებითად ვერ ვუყურებ ე.წ. სოციალური კალათის არსებობას, რადგან ეს არის არჩევანი, რომელსაც თავად სუპერმარკეტები აკეთებენ. ეს არ არის რეალური ფასების კლება და არც ის ღონისძიებებია, რასაც კომისიის დასკვნა ვარაუდობს.**

**ეს არის უბრალოდ დასკვნის გამოძახილი და ვფიქრობ, რომ ხანმოკლე გამოძახილია; ანუ შევამცირებთ ფასებს მხოლოდ შერჩეულ პროდუქტებზე, სხვა დანარჩენი კი ჩვეულებრივ ფასად გაიყიდება. ეს ეფექტი იმიტომ იქნება ხანმოკლე, რომ სახელმწიფო მუდმივად ვერ შეძლებს ამაზე კონტროლის განხორციელებას და კომისიის დასკვნა არც არის ის, რაც სახელმწიფოს მიერ გაკონტროლებულ ფასებს გულისხმობდა.**

**ჩამონათვალში, სავარაუდოდ, მხოლოდ პირველადი მოხმარების პროდუქცია შევა და არავის აქვს იმის ილუზია, რომ სეზონური ხილის ან ისეთი პროდუქტების ფასები შემცირდება, რომელიც ახლა შემოდის ბაზარზე და რომელთა ღირებულებაც ძალიან ძვირია“** – განუცხადა „ბიზნესპრესნიუსს“ **აროშიძემ.**

მისი მოსაზრებით, პროდუქციის ჩამონათვალი რამდენიმე ერთეულისგან შედგეს ან ათეულს გადააჭარბოს, მასში, სავარაუდოდ, 12-13 დასახელების საკვებ პროდუქტს მოაქცევენ. თუმცა შესაძლოა, მიღმა დარჩეს ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტები, როგორებიცაა, მაგალითად, კარაქი და ხორცი.

**„კალათაში, სავარაუდოდ, ის დასახელებები მოხვდება, რომლებზეც მარკეტები ისედაც აკეთებდნენ აქციებსა და ფასდაკლებებს. ამას გარდა, მგონია, რომ ჩამოთვლილ პროდუქციაზე შემცირებული ფასები, აუცილებლად დაკომპენსირდება სხვა საქონელზე ფასის მომატებით ან არსებულ ნიშნულზე დაფიქსირებით. ეს ბიზნესის კანონია, საკუთარ მოგებას არავინ მოიკლებს. ქსელური, ბრენდული მარკეტები ამას არ გააკეთებენ. ამიტომ, ამას გაიაფებას ვერ დავარქმევთ, ეს არის რეაგირება, რომელიც პირველ ეტაპზე მარკეტებმა გააკეთეს. ჯერ საკმაოდ ბუნდოვანია ყველაფერი. პირობითად, არ ვიცით, რას და როგორ გააკეთებენ, რამდენი პროცენტით შეამცირებენ კონკრეტულ პროდუქტებზე ფასებს. ან, თუ მაგალითად, პურს გააიაფებენ, მაგრამ წონას მოაკლებენ, ამას რეალურ ფასის შემცირებას დავარქმევთ?!“** – აღნიშნა **აროშიძემ.**

ბექა დანელია

# მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკი ქართველ ტყვეთა საიდუმლოს ინახავს!

**მიმდინარე წლის 10 მაისს, ავსტრიის რესპუბლიკაში, მაუთჰაუზენის საერთაშორისო კომიტეტის მიწვევით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საერთაშორისო თანამშრომლობის, პროტოკოლისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ეკატერინე ფაჩულია, სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო, რომელიც ბანაკის გათავისუფლებიდან 81 წლისთავს ეძღვნებოდა.**

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციით, ცერემონიის მონაწილეებმა, მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი გვირგვინით შეამკეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში **ალექსანდრე მაისურაძე,** გენერალური კონსული **თამთა კინწურაშვილი**, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო წარმომადგენელი ეუთოში, გენერალ-მაიორი **შალვა ჯაბახიძე,** ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

**მაუთჰაუზენის ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკი იყო ყველაზე სასტიკი ბანაკი გერმანულენოვან სივრცეში, რომელმაც 90 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.**

**ავსტრიის ქართველ სტუდენტთა ასოციაციის კვლევის შედეგად, მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის არქივში, ამ დროისთვის, 225 ქართველის სახელი და გვარია აღმოჩენილი. სავარაუდოდ, მათი რიცხვი ბევრად მეტია, რადგან არქივის ნაწილი, ჯერ კიდევ, ბანაკის გათავისუფლებამდე გაანადგურეს ნაციონალ-სოციალისტებმა.**





**აქ დაღუპული ქართველი ჯარისკაცებიდან, თითქმის ყველა სამხედრო ჩინის მქონე იყო და ისინი, სამაგალითოდ დასჯის მიზნით მოჰყავდათ ყველაზე სასტიკ საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც მათ უწევდათ გრანიტის სამტეხლოში მუშაობა. აღნიშნული ბანაკიდან ყველაზე დიდი გაქცევის მონაწილეებიც ქართველები იყვნენ, მათგან რვა ქართველმა ჯარისკაცმა მოახერხა ბანაკიდან გაქცევა, მაგრამ გადარჩენილებში არცერთი მათგანი არ ფიგურირებს.**

# უქმეების კარგი ამბები

## ძიუდო

**გორი. ევროპის თასის გათამაშება** საქართველოს ნაკრები – 18(!) მედალი. **ოქრო** – ბაგრატ ნინიაშვილი, ვლადიმერ ახალკაცი, გიორგი ბადუაშვილი, ნინო თათრიშვილი.

## ჭადრაკი

**ტროგირი (ხორვატეთი).** ევროპის 7-17 წლამდელთა ევროპის სასკოლო ჩემპიონატი 20 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საქართველო (მთავარი მწვრთნელი **დავით ჯოჯუა**) – 8 მედალი. **ოქრო** – გაბრიელ გაბადაძე, ლილე სვანიძე. **ვერცხლი** – ანდრია კვირიაშვილი, ლიკა ჩხარტიშვილი, მარიამ რეხვიაშვილი, ალექსანდრე ღონღაძე, თეა რუსიტაშვილი. **ბრინჯაო** – ლუკა ქუნთელია.



## ჩოგბურთი

**იტალია.** რომის მასტერსის მე-3 წრე. ნიკოლოზ ბასილაშვილი – ბრენდონ ნაკაშიმა (აშშ) 2:0. იგი 24 წლისაა და რეიტინგის 32-ე ნომერია მაშინ, როცა ნიკას 117-ე პოზიცია უკავია.

# 25 ქულით დახურა

**თურქეთის** სუპერლიგის 30-ე ტურში □ტრაბზონსპორმა□მერსინი□90:80 დაამარცხა და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, **მარკის რიდი** კი ისევ საუკეთესო იყო.



მან 35 წუთში 25 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი და 2 ჩაქრა დააგროვა. საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა კალათბურთელმა 13-დან 7 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 5-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. ის ორივე გუნდში საუკეთესო იყო შედეგიანობითაც. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 27 გამოდგა.

□ტრაბზონსპორმა□რეგულარული სეზონი 19 მოგებით და 11 წაგებით მეექვსე ადგილზე დაასრულა, ხოლო მეოთხედფინალში □ბაჰჩეშეჰირს□შეხვდება.

# გვახსოვდეს 13 მაისი!

**რა არის ისტორიისთვის 45 წელიწადი? გეთანხმებით, თითქმის აბსოლუტურად არაფერი, მაგრამ ამავდროულად გარკვეულ შემთხვევაში დროის ეს მონაკვეთი ძვირფასი და ეპოქის ტოლფასია.**

ამჯერად სწორედ აღნიშნულ ნახევრად მრგვალ თარიღს გილოცავთ და უფალს შევთხოვთ, ოდესმე სასწაული კიდევ განმეორდეს – ბურთი ხომ უმეტესწილად მრგვალია და ხშირად ლამის მთელ პლანეტას იმონებს.

მაშ ასე – 1981 წლის 13 მაისი, გერმანული დიუსელდორფის რაინშტადიონი, თასების მფლობელთა თასის გათამაშების საეტაპო ფინალური მატჩი:



**თბილისის დინამო – იენის კარლ ცაისი**
**2:1**
**გოლები: გუცაევი, დარასელია; ჰოპე.**
**მსაჯი: რიკარდო ლატანცი (იტალია).**

დარწმუნებულნი ვართ, იმ დაუვიწყარი ტრიუმფის გახსენებისას ბევრ თქვენგანს სიამაყის გრძნობასთან ერთად სინანულის განცდაც დაეუფლა, რადგან იუბილეს ზეიმის არაერთი შემოქმედი ვერ მოესწრო.

**ნათელი და სანთელი მათ ხსოვნას!**

რაც შეეხება თვით წარმატების კანონზომიერებას, იქამდე **ნოდარ ახალკაცის** გენიით შექმნილი **დავით ყიფიანის** ოცნების გუნდი მეთოდურად მიიწევდა და გზად ისეთ გრანდებს უტარებდა გაკვეთილებს, როგორიცაა ინტერი, ნაპოლი და თვით ლივერპულიც კი. მართალია, იყო იმედგაცრუებაც, მაგრამ უკვე თამამად შეგვეძლო გვეთქვა, რომ დაუვიწყარი მიღწევისთვის მომწიფებულნი ვიყავით, ასე რომ, სამართალმა ბოლოსდაბოლოს პური მაინც ჭამა!

აქვე ერთი აუცილებელი განმარტებაც: ზოგი დღემდე ცდილობს რანგით მაშინდელი მეორე ევროტურნირისა და, შესაბამისად, დინამოელთა მოხვეჭილი ტიტულის მნიშვნელობის დაკნინებას, აქაოდა მეტოქეთა ნაწილი კლასით, ვთქვათ, უეფას თასის მონაწილეებს ჩამოუვარდებოდაო, მაგალითად კი კასტორია, უოტერფორდი და იმ პერიოდში მეორე ეშელონში დაქვეითებული ვესტ ჰემი მოჰყავთ, მაგრამ პარალელურად არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ თბილისელთა აღზევებამდეც და მას შემდეგაც პრესტიჟული ჯილდო უამრავი ბობოლა კლუბის ნადავლი გახდა, ხოლო თვით ტურნირმა არსებობა ისე შეწყვიტა, რომ მისი გამარჯვებული ერთხელაც ვერ გახდა ევროპული ფეხბურთის მონარქი მადრიდის რეალი, რომელმაც ჩემპიონთა თასი (ლიგა) 15-ჯერ(!) მოიგო. ცნობისათვის, სამეფო კლუბმა ფინალი ჯერაც ახალგაზრდა ალექს ფერგიუსონის გაწვრთნილ პროვინციულ შოტლანდიურ აბერდინთან დათმო – 1:2.

თუმცა, მოდით, დავუბრუნდეთ თანამემამულეთა ძლევაი საკვირველს და გავიხსენოთ დიდგორისკენ გაკვალული ბილიკი.

**დინამო-კასტორია (საბერძნეთი) 0:0, 2:0 (გუცაევი, შენგელია).**

**დინამო-უოტერფორდი 1:0 (შენგელია), 4:0 (ჩივაძე – 2, დარასელია, ჭილაია).**

**დინამო-ვესტ ჰემი 4:1 (შენგელია – 2, ჩივაძე, გუცაევი), 0:1.**

**დინამო-ფეიენოორდი 3:0 (სულაქველიძე – 2, გუცაევი), 0:2.**

**დინამო-კარლ ცაისი 2:1 (გუცაევი, დარასელია).**



# მოლდოვა და ევროპა?!

**კიშინიოვში გამართული მედიატურნირი ევროპის თასი“ კოლეგათა საფეხბურთო ზეიმად უნდა ქცეულიყო, მაგრამ...**

ჯგუფებში 8 გუნდი ასე გადანაწილდა: **საქართველო, სომხეთი, ლატვია, ისრაელი.**

**მოლდოვა, აზერბაიჯანი, უნგრეთი, რუმინეთი.**

სასტარტო შეხვედრაში კავკასიელებთან ვეტერანი ჯვაროსნის **სოსო მალანიას** სეხნია ვაჟმა პოკერი შეასრულა – 4:2 და ცოტა დააკლდა **ილია დათუნაშვილის** ჯერაც მოუხსნელ რეკორდამდე, რომელმაც მეზობელ ერევნის არარატს დღემდე შეუხორცებელი 5 გოლი გაუტანა.

მეორე ტურში ბალტიისპირელებთან 7:0 გავისეირნეთ (თოთლაძე – 3, გურაბანიძე – 2, მაკარიძე, მალანია), ვადამდე გავედით პლეი-ოფში და ებრაელებთან ლიდერები დავასვენეთ – 1:1, თუმცა მეკარე **გეგი კიკაბიძის** მიერ საკუთარი სამფლობელოდან გატანილი ბურთით მაინც დავამშვენეთ პირველი რაუნდი.

და აი, მივადექით მასპინძლებთან სკანდალურ ნახევარფინალს, რომლებსაც გველის ნაკბენივით ახსოვდათ შარშან თბილისში **კოტე მახარაძის** მემორიალზე 0:5 (!). ამაზრზენი მსაჯობის მიუხედავად, ძირითადი დრო 3:3 დავასრულეთ, პენალტების სერიაში გაგრძელებული შაოსნის გოთვერნობა კი ბიჭებმა უკვე ვეღარ აიტანეს და ბრძოლის ველი მიატოვეს. საბოლოოდ, რაც არ გერგებაო, ისე მოხდა და მოლდოვამ ფინალი აზერბაიჯანთან ასევე პენალტებში დათმო...

*სხვათა შორის, იმავე დღეებში იქვე სიმბოლური ფაქტი მოხდა: მოლდოვის ჩემპიონი ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტის* ***შოთა მახარაძის*** *გაწვრთნილი პეტროკუბი გახდა, რომელიც ქვეყნის თასისთვისაც განაგრძობს თამაშს.*

# მეორე ქართველი

**□სენტ ეტიენის□ნახევარმცველი ზურიკო დავითაშვილი საფრანგეთის ლიგა 2-ის 2025-2026 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა.**

ქართველი საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა ლიგამ გამოარჩია. ბუნებრივია, ის სეზონის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.




ზურიკო დავითაშვილმა ლიგა 2-ის სეზონში 29 მატჩში 14 ბურთი გაიტანა და 5-ჯერ შედეგიანი პასი გააკეთა. ქართველმა 14 გოლით ბომბარდირთა დავაში მეოთხე ადგილი დაიკავა. ზურიკომ ერთი ბურთი საფრანგეთის თასზეც გაიტანა. ახლა ის ეცდება, რომ გუნდს პლეი-ოფში დაეხმაროს.

დავითაშვილი მეორე ქართველია, რომელიც ლიგა 2-ის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. პირველი იყო **გიორგი მიქაუტაძე,** რომელსაც ეს ჯილდო 2022-2023 წლების სეზონში ერგო, როცა □მეცში□თამაშობდა. შეგახსენებთ, რომ □სენტ ეტიენმა□სეზონი 60 ქულით მესამე ადგილზე დაასრულა და ლიგა 1-ში გადასასვლელად პლეი-ოფიდან იბრძოლებს, სადაც 15 მაისს □როდეზს□ან □რედ სტარს□ შეხვდება, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში გადამწყვეტი მატჩი ლიგა 1-ის მე-16 ადგილოსანთან ექნება (ლე ავრი, ნიცა ან ოსერი).

# ეს დიდი ნდობაა!

**ჩემპიონთა ლიგის, ევროპა ლიგისა და კონფერენს ლიგის ფინალების მსაჯთა ბრიგადები ცნობილია. ისინი უეფამ ოფიციალურად დაასახელა.**

ჩემპიონთა ლიგის ფინალის მთავარი მსაჯი გერმანელი **დანიელ ზიბერტი** იქნება. მას ასევე გერმანელები იან ზიედელი და რაფაელ ფოლტინი დაეხმარებიან, მეოთხე არბიტრის ფუნქციას შვეიცარიელი სანდრო შერერი შეასრულებს, ხოლო VAR-ზე ბასტიან დინკერტი (გერმანია), რობერტ შრიოდერი (გერმანია) და კარლოს დელ სერო გრანდე (ესპანეთი) იმუშავებენ.

ჩემპიონთა ლიგის ფინალში 30 მაისს,ერთმანეთს ბუდაპეშტში □პარი სენ-ჟერმენი□და □არსენალი□დაუპირისპირდებიან.

ევროპა ლიგის ფინალზე მთავარი არბიტრი ფრანგი **ფრანსუა ლეტექსიე** იქნება. მას მისი თანამემამულეები სირილ მუნიე და მეჰდი რაჰმუნი დაეხმარებიან, მეოთხე მსაჯი ესპანელია – ალეხანდრო ერნანდესი, VAR-ზე კი ჟერომ ბრისარი (საფრანგეთი), ვილი დელაიო (საფრანგეთი) და დენის ჰიგლერი (ნიდერლანდები) იმუშავებენ.

ევროპა ლიგის ფინალში 20 მაისს სტამბოლში □ასტონ ვილა□და □ფრაიბურგი□იბრძოლებენ.

კონფერენს ლიგის ფინალის მთავარი მსაჯი იტალიელი **მაურიციო მარიანი** იქნება, რომელსაც თანამემამულეები დანიელე ბინდონი და ალბერტო ტეგონი დაეხმარებიან. მეოთხე მსაჯი შვედია – გლენ ნიბერგი. **VAR**-ზე მარკო დი ბელო (იტალია), დანიელე ჩიფი (იტალია) და ივან ბებეკი (ხორვატეთი) იმუშავებენ.

კონფერენს ლიგის ფინალი ლაიფციგში 27 მაისს გაიმართება □რაიო ვალეკანოსა□და □კრისტალ პალასს□შორის.



სულთათანა

# გარდაიცვალა ოთარ ჟორდანია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

**ოთარ ჟორდანია**



და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

# თაღლითმა 120 000 ლარი მიითვისა!..

**თბილისის პროკურატურის თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველომ, დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.**

პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული დაზარალებულებს სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე შეუთანხმდა და ვალდებულებების სწრაფად შესასრულებლად თანხის წინასწარ გადაცემა მოითხოვა. ბრალდებულმა ვალდებულება არ შეასრულა, ხოლო დაზარალებულების მიერ გადაცემული 120 000 ლარი თაღლითურად მიისაკუთრა. სამართალდამცველებმა ბრალდებული 9 მაისს დააკავეს. დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# 374 ათას დოლარზე შეაჩერეს, თორემ...

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.**

**შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველების მიერ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულმა, საზღვარგარეთიდან 43 ავტომობილის ჩამოყვანის სანაცვლოდ, უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ გადახდილი 374 000 აშშ დოლარი თაღლითურად მიისაკუთრა და ვალდებულება არ შეასრულა.**



პოლიციამ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დანაშაულის ჩამდენი პირი □ერთ-ერთი ავტოსადილერო კომპანიის დირექტორი ბრალდებულის სახით დააკავა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის □ბ□ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ცხრა წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# საჯარო შეტყობინება

## აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს □ემჯი ჰოლდინგი□ როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს □ლიბერთი ბანკის□განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შავლეგო ჩოკოშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შავლეგო ჩოკოშვილი (პ/ნ 36001036965), საგარეჯოს რაიონი, სოფელი მზისგული, მე-3 ქ. N43

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** საგარეჯოს რაიონი, სოფელი ყანდაურა, ბლოკი 058, ნაკვეთი 010 მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით: 12476 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 55.06.56.058.010)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 31701.06 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 13 მაისი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 1 ივნისი, 14:00 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP127130626**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1271306)

**8. მოვალე:** შავლეგო ჩოკოშვილი (პ/ნ 36001036965), საგარეჯო, ს. მზისგული, მე-3 ქ. N43;

ნონა ქობულაშვილი (პ/ნ 01011074708), საგარეჯოს რაიონი, სოფელი მზისგული.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს □ემჯი ჰოლდინგი□(ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს □ლიბერთი ბანკი□

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს □ემჯი ჰოლდინგის□ საბანკო ანგარიშზე (სს □თიბისი ბანკი□ ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 1 ივნისის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს □ემჯი ჰოლდინგში□ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 40, სართული 11.

# საჯარო შეტყობინება

## აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს □ემჯი ჰოლდინგი□ როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს □ლიბერთი ბანკის□განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვახტანგ რევაზაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვახტანგ რევაზაშვილი (პ/ნ 59001098018), გორის რაიონი, სოფელი ზერტი, მე-17 ქ. N2

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** გორის რაიონი, სოფელი ზერტში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით: 4504 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 66.53.05.097)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 42978.92 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 13 მაისი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 1 ივნისი, 14:15 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP127133126**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1271331)

**8. მოვალე:** ვახტანგ რევაზაშვილი (პ/ნ 59001098018), გორის რაიონი, ს. ზერტი, მე-17 ქ. N2;

ქეთევან რევაზაშვილი (პ/ნ 24001041260), გორის რაიონი, ს. ზერტი, მე-17 ქ. N2.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს □ემჯი ჰოლდინგი□(ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს □ლიბერთი ბანკი□

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს □ემჯი ჰოლდინგის□ საბანკო ანგარიშზე (სს □თიბისი ბანკი□ ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 1 ივნისის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს □ემჯი ჰოლდინგში□ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 40, სართული 11.

# საჯარო შეტყობინება

## აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს □ემჯი ჰოლდინგი□ როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს □ლიბერთი ბანკის□განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თენგიზ ფათალიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თენგიზ ფათალიშვილი (პ/ნ 40001024197), სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბისხევი, შოთა რუსთაველის ქ. N6

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბისხევში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით: 7000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 56.15.44.149)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 90887.85 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 13 მაისი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 1 ივნისი, 14:30 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP127142226**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1271422)

**8. მოვალე:** თენგიზ ფათალიშვილი (პ/ნ 40001024197), სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბისხევი, შოთა რუსთაველის ქ. N6.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს □ემჯი ჰოლდინგი□(ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს □ლიბერთი ბანკი□

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს □ემჯი ჰოლდინგის□ საბანკო ანგარიშზე (სს □თიბისი ბანკი□ ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 1 ივნისის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს □ემჯი ჰოლდინგში□ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 40, სართული 11.



# პარიზში ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართა

**ღვინის ეროვნული სააგენტოს და საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, პარიზში ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართა.**

ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციას სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ანა გოდაბრელიძე უძღვებოდა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მიწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ ქართული ღვინის მრავალფეროვნებას, ღვინის წარმოების ტრადიციულ მეთოდებსა და ქართული მეღვინეობის კულტურას. ღონისძიებაში მონაწილეობა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, **თამთა ყველაიძემ** მიიღო. მისი განცხადებით, მსგავსი ფორმატის ღონისძიებები ხელს უწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციას, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის, როგორც უნიკალური ნიშური პროდუქტის, პოზიციონირების გაძლიერებას.

# მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის 85 წლის იუბილე საზეიმო წარმოდგენით აღინიშნა

**ეროვნულმა სასახლემ 85 წლის იუბილე აღნიშნა – სასახლის პირველი რესპუბლიკის დარბაზმა იუბილესადმი მიძღვნილ წარმოდგენას უმასპინძლა. საღამოს ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა და მასში მონაწილეობა მიიღეს ძველი და ახალი თაობის სასახლელებმა.**

1941 წლის 2 მაისს ეროვნული სასახლის ისტორიული შენობა ბავშვებს გადაეცა და მას შემდეგ ეს სივრცე ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული, უდიდესი არაფორმალური განათლების ცენტრია. **სასახლემ არაერთი წარმატებული თაობა აღზარდა: მეცნიერები, მსახიობები, მხატვრები, მწერლები, პოეტები, მუსიკოსები, მოჭადრაკეები და საზოგადო მოღვაწეები.**





# ტრისტან სიხარულიძე – გურული სიმღერის დიდოსტატი

**ოზურგეთის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გურული სიმღერის გამორჩეული შემსრულებლისა და ლოტბარის ტრისტან სიხარულიძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნის □ □ტრისტან სიხარულიძე □გურული სიმღერის დიდოსტატი“ პრეზენტაცია გაიმართა. ინფორმაციას ოზურგეთის მერია ავრცელებს.**

„ღონისძიებას ოზურგეთის მერი **პაატა კუნჭულია,** გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ღურჯუმელიძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

**გამოცემა მომზადებულია საქველმოქმედო ფონდ □ქართული გალობის“ მიერ, ხოლო მისი ხელახალი გამოცემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა. წიგნი ეფუძნება ანზორ ერქომაიშვილის გამოცემას □ □გური და ტრისტან სიხარულიძეები“ და მას თან ერთვის ტრისტან სიხარულიძის მიერ შესრულებული აუდიოჩანაწერები.**

# ევროკავშირის კორონავირუსის შემდგომი აღდგენის ფონდიდან მილიარდობით ევრო გაქრა!

**ესპანური მედიის ინფორმაციით, ევროკავშირის კორონავირუსის შემდგომი აღდგენის ფონდიდან მილიარდობით ევრო გაქრა.**

ევროპის აუდიტორთა სასამართლომ, ამ ფონდიდან გაწეული ხარჯების აღრიცხვისა და გამჭვირვალობის კუთხით, სერიოზული ხარვეზები გამოავლინა. უწყების ცნობით, ევროპელი გადასახადების გადამხდელთა მილიონობით ევრო ისე განაწილდა, რომ უცნობია, კონკრეტულად ვინ მიიღო თანხა, რა დაჯდა კონკრეტული პროექტები და რა იყო მათი შედეგები. ინფორმაციას, ევროპარლამენტარი ხორხე ბუსადე ბიალვა გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ევროკომისია სწორედ ასეთი მოდელის დანერგვას ცდილობს ევროკავშირის მთელი ბიუჯეტისთვისაც.



# მიხეილ თუმანიშვილის უკვდავება და „თეატრის ავტოგრაფი“

**11 მაისს, მიხეილ თუმანიშვილის გარდაცვალების 30 წლის დღესთან დაკავშირებით, გაიმართა განსაკუთრებული საღამო, რომელიც მიეძღვნა მიხეილ თუმანიშვილის ხსოვნას და მისი 105 წლის იუბილესადმი დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების წარდგენას.**

თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის ინფორმაციით, თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა **იოანე (ვანო) ხუციშვილმა** დამსწრე საზოგადოებას გააცნო საიუბილეო გეგმები, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ლეგენდარული სპექტაკლის □ჩვენი პატარა ქალაქი□აღდგენა.

ასევე, ამ დღეს, თუმანიშვილის თეატრის ინიციატივით, დაარსდა ახალი ჯილდო □□თეატრის ავტოგრაფი□, რომელიც გადაეცემათ ხელოვანებს მიხეილ თუმანიშვილის პრინციპების და მისი სახელობის თეატრის ფასეულობების შენარჩუნებისთვის.



ჯილდოს სიმბოლოდ იქცა მხატვარ **კახა ქორიძის** მიერ შექმნილი თუმანიშვილის თეატრის ლოგო.

პირველი მადლობის სიგელი და სამკერდე ნიშანი □თეატრის ავტოგრაფი□ სწორედ **კახა ქორიძეს** გადაეცა. ასევე ჯილდო გადაეცა, მიხეილ თუმანიშვილის შვილს □**ლიკა თუმანიშვილს**.

მიხეილ თუმანიშვილის თეატრის ფასეულობების შენარჩუნებისთვის ახალი ჯილდო □თეატრის ავტოგრაფი□გადაეცა რეჟისორ **გოგი მარგველაშვილს.**

□თეატრის ავტოგრაფი□ასევე გადაეცათ თუმანიშვილის თეატრის დამფუძნებლებს: **ქეთი დოლიძეს, მზია არაბულს, დარეჯან ხაჩიძეს, დარეჯან ჯოჯუას, ზურა ყიფშიძეს, პაატა ბარათაშვილს, ლაურა რეხვიაშვილს, ცოტნე ნაკაშიძეს.** □ასევე **რამაზ იოსელიანსა** და **ნინელი ჭანკვეტაძეს** სპექტაკლში □ბაკულას ღორები□49-წლიანი უწყვეტი თამაშისთვის და სპექტაკლის შენარჩუნებისთვის.

**საღამო მიეძღვნა პატივისცემას დიდი მაესტროს მემკვიდრეობისადმი და თეატრისადმი, რომელმაც შექმნა ეპოქა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს მიხეილ თუმანიშვილის ფასეულობებს.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოგულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოგულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 15 მაისს